CMYK

# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 4 ივლისი, 2004 წელი. №153 (4882) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◉ დღის თემა

# „მინდორ-ველით, მთა-გორით?!“

**მართლა ისე ხომ არ გაგვიხდება საქმე, რომ ტყეში გასეირნება „არ დაიდარდოს“ პერსონაჟივით ვინმესთვის „ერთ ადგილას“ კოცნის ფასად დაგვიჯდეს?**



ამ დღეებში რედაქციამ ანონიმი მკითხველის წერილი მიიღო. – ხელს მხოლოდ იმიტომ არ ვაწერ, რომ, დარწმუნებული ვარ, ლამის მთელი საქართველო ჩემსავით ფიქრობს და, რა საჭიროა ჩემი გვარის გამოჩენაო, – გვწერდა. გთავაზობთ ერთ ამონარიდს ამ წერილიდან:

**„საქართველოს მთავრობის ბოლო სხდომაზე სახელმწიფო ქონების გაყიდვაზე იყო საუბარი. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ასე უნამუსოდ „პრიხვატიზებულ“ ქვეყანაში სახელმწიფოს კიდევ დარჩა რამე გასაყიდი. საბედნიეროდ, ჰქონია!**

**მაგრამ, სამწუხაროდ, ისე მგონია, არ დარჩა მხოლოდ ის, რის გარდაც ყველაფრის გაყიდვას აპირებს ჩვენი ეკონომიკის ახალი მინისტრი – სინდის-ნამუსი!**

**ტყეები უნდა გავყიდოთო, მოითხოვდა იმ სხდომაზე ბატონი კახა ბენდუქიძე. კერძო მესაკუთრენი ამ სიმდიდრეს ახლანდელზე მეტად და უკეთ გაუფრთხილდებიან, ხოლო ასეთი ტყეების მცველები იქ ავი ზრახვით შესულ ბრაკონიერებს თოფს „ერთ ადგილას“ შეთხრიანო, გვარწმუნებდა.**

**ღმერთო ჩემო! ჯერ ერთი, ასეთი ფასდაუდებელი (თანაც ყოველმხრივ ფასდაუდებელი!) სიმდიდრის შესაძენი ფული საქართველოში მხოლოდ რამდენიმე კაცს თუ ექნება. ისიც ქართველი ხალხის უმოწყალოდ გაყვლეფის ხარჯზე დაგროვილი.**

**ამის მიუხედავად, მივყვეთ კვლავ ბატონი კახას ლოგიკას, და ნუ გამოვედევნებით ამ რამდენიმე „ახალი ქართველის“ მილიონების კანონიერებას, მაგრამ მთავარი ხომ სულ სხვა რამეა: დავიჯერო,ისინი საკუთარ ტყეში მხოლოდ გასეირნებისთვის გადაყრიან ამდენ ფულს და იქ არც ერთ ძირხეს არ მოჭრიან დანახარჯის ამოსაღებად?**

**თუ ვინმეს სჯერა ამისა, მართლაც, ნეტარ არიან მორწმუნენი!**

**და მეორეც, რაც შეეხება გაყიდული ტყის უკეთ დაცვას. არ ვიცი, ვინ ვის და სად რას შეთხრის (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის), მაგრამ იმის შიში კი მეუფლება, რომ, ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, ტყის სიგრილეში შესვლა და წყაროს წყლით პირის გასველებაც კი სანატრელი გაგვიხდება.**

იხ. მე-2 გვ.

◉ კვირის თვალსაწიერი

# იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა, თორემ...

**ეს გასული შვიდდღეული კვირა კი არა, პირდაპირ ცეცხლი იყო.**

**ჯერ რესპუბლიკურმა პარტიამ გამოსჭრა ყელი ნაციონალთა და დემოკრატთა უმრავლესობას, მათი რიგები დატოვა და ეს რის ვაივაგლახით გამონოლითურებულ-გაერთპარტიულებული პარლამენტი ლამის თავზე დაგვამხო.**

**კიდევ კარგი, ქვეყანაც და მისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოც ისე არიან გაწვრთნილ-გამოჯერკილი ამ პოლიტიკურ გადაჯექ-გადმოჯექობაში, რომ არც ეს გაყრა-გაქცევა გაკვირვებიათ და შეუცხადებიათ. მოგეხსენებათ, დიალექტიკის კანონია: ყველაფერი იბადება, ვითარდება და კვდება. დაიბადა ნაციონალთა და რესპუბლიკელთა კავშირი, ვითომ განვითარდა კიდეც – ერთხანს ერთად იჯახირა და აღესრულა, ისე, რომ რაიმე ხელშესახები და სამახსოვრო კვალი არ დაუტოვებია.**

თუ ვინმემ წააგო ამ გასვლით, ისევ რესპუბლიკურმა პარტიამ წააგო. ჯერ უმრავლესობაში ჩაურჩა რამდენიმე დეპუტატი, მერე ისედაც არც თუ გიგანტი სხეული შეუთხელდა პარლამენტის გარეთ: ათობით რესპუბლიკელი გავიდა პარტიიდან, თავიანთი ლიდერების სწორედ ამ ნაბიჯის გამო...

მერე იყო და „პრეზიდენტი“ ქოქოითი გაიჭაჭა, გინდა თუ არა ქართველები ომს გვიწყებენო და პრევენციული დარტყმები განახორციელა: იქ – ქალ-ბავშვიანი ავტობუსები შეაჩერა, აქ – შლაგბაუმები ჩადგა; იქ – ვიღაცა დაიჭირა, როგორ თუ „სუვერენული ქვეყნის“ საზღვარს გადმოცდიო, აქ – სანგრების თხრა დაიწყო. აშკარაა, რომ რაღაცის და ვიღაცის იმედით იქაჩება. მოსკოვში პუტინ-სააკაშვილის შეხვედრამ ბევრ რამეს უნდა მოჰფინოს ნათელი...

იხ. მე-2 გვ.

◉ პრეზიდენტი

# სავიზო რეჟიმი გამარტივდება

**გუშინ მოსკოვში მიმდინარე დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტთა შეხვედრის მონაწილენი რუსეთის დედაქალაქში გამართულ დოღს დაესწრნენ. საღამოს რვა საათისთვის კი ვლადიმერ პუტინი საპრეზიდენტო აგარაკზე პირისპირ შეხვდა მიხეილ სააკაშვილს (სხვათა შორის, რუსეთის პრეზიდენტი მის გარდა კიდევ მხოლოდ ერთ პრეზიდენტს შეხვდა).**

პროტოკოლით გათვალისწინებული 25 წუთის ნაცვლად შეხვედრა ერთი საათი გაგრძელდა. საუბრის დროს რუსეთის პრეზიდენტმა თანხმობა განაცხადა, რომ გამარტივდეს სავიზო რეჟიმი ისეთივე ფორმატით, როგორც ეს საქართველომ გააკეთა, ანუ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა ვიზები რუსეთის საზღვარზევე მიიღონ.

საუბრის თემა, ბუნებრივია, იყო სამხრეთ ოსეთი. რუსეთის პრეზიდენტმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ განიხილოს კონკრეტული წინადადებები. საუბრის მესამე თემა იყო რუსეთის სამხედრო ბაზები და ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა.

ამ უკანასკნელის შესრულების მიმდინარეობას კოორდინაციას გაუწევენ ორი სახელმწიფოს უშიშროების საბჭოები. თუმცა რუსეთის მხარემ აღნიშნა, რომ იგი არ არის ამ ცენტრის ბაზების სანაცვლოდ ჩამოყალიბების მომხრე.

საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა ყაზახეთის პრეზიდენტსაც. ყაზახეთი დაინტერესებულია ტრასეკას პროექტის ფარგლებში ჰქონდეს შავ ზღვაზე გასასვლელი. საუბრის თემაც სწორედ ეს გახლდათ.

საქართველო და აზერბაიჯანი იყო ის ორი ქვეყანა, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს დოკუმენტს, რომელშიც გაეროს მუშაობა უარყოფითად არის შეფასებული.

საქართველოს დელეგაცია თბილისში დღეს დაბრუნდება.

◉ პოეზია უპირველეს ყოვლისა

# ცრემლივით მძიმე, ცრემლივით წმინდა

**ამ დღეებში გამოვა ჯანო ჯანელიძის თხზულებათა სამტომეულის I ტომი. აღნიშნული ტომი ეძღვნება ლირიკას, მხოლოდ და მხოლოდ ლექსებს. მისი სათაურია „ცრემლივით მძიმე, ცრემლივით წმინდა“. ეს წიგნი პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების ერთგვარი ანგარიშია მკითხველის წინაშე.**

აქ შემოთავაზებული ლექსები უთუოდ კეთილად განაწყობს პოეზიის თაყვანისმცემელთ, რაშიაც ადვილად დარწმუნდებიან ჩვენი გაზეთის მკითხველები.

**ავწონე ოქრო,**
**ავწონე ვერცხლი,**
**ავწონე ცრემლი,**
**ნამცეცა, მცირე,**
**როგორ გავვოცდი, და**
**როგორ შევცბი,**
**რომ ცრემლი იყო**
**ყველაზე მძიმე.**

იხ. მე-11 გვ.

## ინტერპანორამა

**ამერიკელთა მიერ დაყენებული წინასწარი გაფრთხილების სისტემის მეშვეობით შესაძლებელი გახდა იმ ციხეზე თავდასხმის მცდელობის აღკვეთა, რომელშიც სადამ ჰუსეინი ზის. ერაყის ექსპრეზიდენტის გატაცება და საზღვარგარეთ უსაფრთხო ადგილას გაყვანა სურდათ, იუწყება საუდის არაბეთის გაზეთი „ალ-მედინა“.**



**ტაიფუნმა „მინდულემ“ ფილიპინებზე 30 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა, უსახლკაროდ დარჩა მთიანი რაიონების 385 ათასი მცხოვრები. სტიქიით მიყენებული ზარალის ოდენობა 13 მილიონ დოლარად შეფასდა.**



**რომში დააპატიმრეს საერთაშორისო ნარკომაფიის ერთ-ერთი ბოსი ანიელო ამბროზიო, რომელსაც 10 წელიწადი ეძებდნენ. იგი ნიუ-იორკიდან ჩამოფრენილი თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე დააკავეს.**



# „მინდორ-ველით, მთა-გორით?!“

(პირველი გვერდიდან)

**ხოლო თუ მაინც გავრისკავთ, შესაძლოა, ბუბა კიკაბიძის კინოგმირის ბენჯამენ ღლონტის ბედი გავიზიაროთ, რომელსაც ბაბთიანი თუ უბაბთო ორდენებით მოკოხტაპრუწე მესაკუთრის ტყეში გავლა მისი პატრონისთვის სწორედ იმ „ერთ ადგილას“ კოცნად დაუჯინეს.**

**რა ხდება? ნუთუ მართლა იყიდება საქართველო, როგორც ამაზე თითქმის ასი წლის წინათ ტიროდა ნიკო ლორთქიფანიძე?**

**გთხოვთ, კიდევ ერთხელ გამოაქვეყნოთ ამ დიდებული ქართველის ეს ნოველა და დარწმუნდებით, რომ დღევანდელი სიტუაცია სულაც არ არის ლამის საუკუნის წინათ შემოკრული ზარის უბრალო ექო. იგი მწარე რეალობაა“.**

ვიდრე კატეგორიულად გავემიჯნებოდეთ თუ მივემხრობოდეთ ჩვენი ანონიმი რესპონდენტის პოზიციას, რომელიც, იმის გაურჩევლად სწორია იგი თუ უმართებულო, უკომენტაროდ შემოგთავაზებთ ნიკო ლორთქიფანიძის აღნიშნულ ნაწარმოებს.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე კი ვრცლად და ამომწურავად ვისაუბრებთ ბატონ კახა ბენდუქიძესთან ინტერვიუს დროს, რომლის მიცემის თავაზიანი თანხმობაც ეკონომიკის მინისტრისგან ჩვენს რედაქციას მიღებული აქვს.

---

**ძახილი წარსულიდან**

**ნიკო ლორთქიფანიძე**

## საქართველო იყიდება

**იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებმ მოხუცებით, იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.**

**ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.**

**იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.**

**იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ; ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.**

**იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!**

1910 წ.

---

(პირველი გვერდიდან)

# იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა, თორემ...

30 ივნისს საქართველოს მთავრობის სხდომა გაიმართა. სეფე სიტყვით გამოვიდა ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე.

სპექტაკლ „კავკასიურ ცარცის წრეში“ არის ასეთი პასაჟი – უცებ მუსიკა და მოძრაობის ტემპი მძაფრდება: „იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა, თორემ“...

იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა, თორემ, ხვალ გასაყიდი, ანუ შესაბამისად, საყიდელი აღარაფერი იქნება.

დღეს ჩვენ ვყიდით ყველაფერს, რის გაყიდვაც შეიძლება, სინდის-ნამუსის გარდა.

მაგრამ, ამ ტოტალური საალებმიცემო ბაზრობის დამპროექტებელს ერთი რამ გამორჩა მხედველობიდან: როცა გასაყიდი აღარაფერი დარჩება, სინდის-ნამუსის ჯერიც დადგება.

გახსოვთ: ოთხმოციანი წლების ბოლომდე თბილისში ქართველ მათხოვარს იშვიათად, უიშვიათესად მოჰკრავდით თვალს. რაგინდ უპატრონო მიხრწნილი, დავარდნილი ინვალიდი ყოფილიყო, როგორღაც თავს გაიტანდა და ხელს სამოწყალოდ არ გაიწვდიდა. მასაც და მისი ოჯახის წევრებსა თუ ნათესავ-ახლობლებს სწორედ ის სინდის-ნამუსი აკავებდა, რომლის გასხვისებაზე ტაბუს დადებასაც ასე ყინჩად ვარაუდობს ჩვენი თადარიგიანი ეკონომიკის მინისტრი.

მაგრამ დრომ მოიტანა და სინდის-ნამუსიანი ქართველობა ქუჩაში გამოეფინა მოწყალებისთვის, უპოვარი ბავშვებიდან დაწყებული, საღსალამათი ჭარმაგი კაცებითა და ქალებით დამთავრებული.

ბევრისთვის (ძალიან ბევრისთვის!) მათხოვრობა პროფესიად იქცა, დაუწერელი წესდებითა და დებულებით, ანუ სათანადო ხერხებითა და მეთოდებით.

მაგალითად, შინ (ხანდახან სამსახურშიც), კარზე მოგადგება ნდობისაღმძვრელი მანდილოსანი ან რესპექტაბელური მამაკაცი: შვილი მყავს ავად და საოპერაციოდ ფულს ვაგროვებო, მიწისძვრამ სახლ-კარი დამიქცია და ცოლ-შვილი (ქმარ-შვილი) ღია ცის ქვეშ მყავს დაყრილიო. კი, შეიძლება, ათში ან ოცში ერთს მართლაც გადადებული სნეული ჰყავს ან ოჯახთან ერთად კიბის ქვეშ ათევს ღამეს. დანარჩენი ცხრა ან ცხრამეტი კი პროფესიული თაღლითია.

მაგრამ, პირადად მე, იმ სავალდებულო 20-თეთრიანს მაინც ვაძლევ, რადგან კაცი (ქალი) იქამდე რომ მივა, კარდაკარ სიარულს დაიწყებს, ანუ მათხოვრობას შემოსავლის წყაროდ გაიხდის, ის უკვე იმდენადაა დაცემული, რომ მოწყალებას მართლაც იმსახურებს.

ამ გრძელი გადახვევით იმის თქმა მინდა, რომ ახლანდელ ცოდვილ დროში სინდის-ნამუსიც იოლად იყიდება და ქვეყანა, რომელმაც უკვე ყველაფერი გაყიდა და გასაყიდი აღარაფერი დარჩა სინდის-ნამუსის გარდა, ამ შემორჩენილ „საქონელსაც“ შეელევა, თუ ვინმემ სათანადო ფასი შეაძლია.

როცა კაცმა სამეზობლოდან თუ მამა-პაპის საფლავებიდან მოპარული ლითონი და თავისი სოფლის ელექტროქსელიდან ახვეული მავთული თურქეთში გაზიდა, მერე ხელს გასაყოლებელი რომ ვეღარაფერი მოიხელთა, ცოლი და ქალიშვილი გაუყენა იმავე გზას „საშოვარზე“.

კი, ასეთები ცოტანი არიან (ოღონდ, არა ერთეულები!), მაგრამ ხომ არიან, და იმ ხალხისთვის ხომ უკვე იქცა ცხოვრების ეს წესი ნორმად?

იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა, თორემ...

ეკონომიკის ახალმა მინისტრმა, წარმოსადეგობითა და მასშტაბურობით ამერიკის ან ჩინეთის მეგაეკონომიკის მინისტრს რომ უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვენისთანა გაღლეტილი ქვეყნის ვაზირს, 30 ივნისს გამართულ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე კიდევ ერთხელ გააცხადა, ლამის ყველა ობიექტი კერძო საკუთრებაში უნდა გადავიდესო. საპრივატიზაციო ობიექტებს ეკონომიკის მინისტრი სამ ნაწილად ყოფს: უმნიშვნელოვანესი ობიექტები (მაგალითად, რკინიგზა, რომლის გაყიდვაც აქამდე აკრძალული იყო), მსხვილი და მცირე ობიექტები. ერთი სიტყვით, ანიდან ჰაემდე ერთიანად ყველაფერი: ფილარმონია, „ქართული ფილმი“, მიწა, ტყე...

ბატონი კახა თურმე სირცხვილით იწვის იმის გამო, რომ ჯერ მიწების მხოლოდ 12,4 პროცენტია კერძო საკუთრებაში.

ბატონი კახა თურმე იმედით ივსება იმის გამო, რომ ტყის გაყიდვით ტყეს პატრონი გაუჩნდება და, რაკი ტყეს პატრონი გაუჩნდება, „ტყე გაჩეხილი და გადამწვარი აღარ იქნება. თუ ვინმე ამას დააპირებს, პატრონი შეთხრის თოფს ერთ ადგილას“.

როგორც ვხედავთ, ბატონ კახას დამაჯერებელი, ასე ვთქვათ, თვალსაჩინოებით გაჯერებული ლაპარაკი უყვარს. მაგალითად, ამას წინათ „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტს ერთ კითხვაზე გენიალური ლაკონიურობით მოუჭრა „Х:НЯ ЭТО ВСЁ-ო“. კორესპონდენტმაც საქართველოს ეკონომიკის მინისტრის არგუმენტირებულობის და დიდი უბრალოების ეს დასტური თავის მკითხველს უმალ სიტყვა-სიტყვით ახარა.

რა თქმა უნდა, მართლაც „ის“ არის ხვალინდელ დღეზე ფიქრი, როცა დღეს კიდევ რაღაც გაქვს გასაყიდი.

გავყიდოთ, გავყიდოთ, ჩქარა, თორემ...

თორემ, ვაითუ რამე დაგვრჩეს კიდევ გასაყიდი.

არადა, ზოგიერთ გულუბრყვილოს ჰგონია, ტყეს – ეროვნულ სიმდიდრეს მაშინ ეშველება, თუ მას სახელმწიფო, პოლიცია მოყვრის თვალით შეხედავს და არა მომხმარებლურად, როგორც კარაქიან პურს. ანუ, თვითონ სახელმწიფო შეთხრის თოფს ერთ ადგილას ყველა ქვეგამხედვარს.

თორემ ახალმოვლენილი პატრონი ბარე კიდევ ორ სხვას შეთხრის თოფს (ჯოხს, კომბალს, თოხის ტარს და ა.შ.) ერთ ადგილას. მაგალითად შენ, ჩემო მკითხველო, თუ ტყეში სოკოსთვის ან ქანგბადის მარაგის შესასუნთქად ან სულაც შეყვარებულთან ერთად ყვავილების დასაკრეფად შეხვალ. თანაც მარტო შენ კი არა, არამედ – იმ შენ მიამიტ სატრფოსაც.

თავადმა ვახვარიმ ექიმი ბენჯამენ ღლონტი, როგორ თუ ჩემს მამულზე გაიარეო, აიძულა მისთვის იმ ადგილზე ეკოცნა, რომელშიც თოფის შეთხრასაც გვპირდება ბატონი კახა ბენდუქიძე.

ეს ეპიზოდი კინოფილმ „არ დაიდარდოს“ ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული და ჭკუის სასწავლია. ჯერ ერთი, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის ქრესტომათიული თვალსაჩინოებით, მეორეც – ამ კერძო საკუთრების ხელმყოფი ბენჯამენ ღლონტის ლაღი შურისძიების მაჟორული აღმაფრენით.

თანაც, ბატონმა კახამ კარგად იცის, რომ საპრივატიზაციო ბაზრობაზე გამოტანილი ამ ტყეების, ფილარმონიებისა თუ კინოსტუდიების ყიდვის თავი (ჯიბე) ჩვენს საცოდავ მოსახლეობას არა აქვს. აქვს მხოლოდ „რამდენიმე საეჭვოდ გამდიდრებულ ადამიანს“. ამიტომ ამ ტყეებისა და სხვათა შესაძენად ისევ გარედან უნდა მოვიწვიოთ ინვესტორები, რადგან „საქართველოში ძნელია ისეთი ბიზნესმენის მოძებნა, რომელსაც ერთი კანონი მაინც არ დაურღვევია“.

ბატონი კახა აქ ცოტა არ იყოს თვალში ნაცარს გვაყრის, თორემ სიმართლეს თუ თვალებში შევხედავთ, ალბათ საქართველოს გარეთაც სანთლით საძებნელი იქნება ისეთი ბიზნესმენი, ერთი კანონი მაინც რომ არ დაერღვიოს.

ამ „საქართველოს გარეთში“ უთუოდ რუსეთიც მოიაზრება, „სადაც ფეხი აიდგა, სადაც გულით იხარა“ ბატონმა კახამ, როგორც ბიზნესმენმა, სადაც (მოსკოვში) თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ უფროსი ლაბორანტი გახდა და კრემებისა და წამლებისთვის ბიოპრეპარატების დამამზადებელი კოოპერატივების ქსელი დააფუძნა, სადაც 1990-იანი წლების დასაწყისში უფროსი ლაბორანტობიდან ნავთობის საინვესტიციო სამრეწველო ევრაზიული კორპორაციის ხელმძღვანელად და მანქანათსაშენებელი ქარხნების გაერთიანებათა გენერალურ დირექტორად გარდაიქმნა, შეიძინა ცნობილი გიგანტის „ურალმაშის“ აქციების 18 პროცენტი...

მინისტრის ცეცხლოვანი საგამყიდველო განცხადებები მისი სამინისტროს მუშაკთა მგზნებარე მზადყოფნას იწვევს. მინისტრმა მთავრობის სხდომაზე 185 ობიექტის ნუსხა წარადგინა. უკვე გამოიკვეთა პირველი რიგის ამოცანა – ბათუმში, ქობულეთში, ჩაქვში განლაგებული მსხვილი საკურორტო ობიექტების პრივატიზება. შემდეგ სააუქციონო ჩაქუჩით გაიყიდება ტბები, არქიტექტურული და ხუროთმოძღვრების პროფილის ობიექტებიც კი...

ვინმემ ისე არ გამიგოს, თითქოს სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის, პრივატიზების წინააღმდეგი ვიყო (ფული რომ მქონდეს, სიამოვნებით შევიძენდი საბადურის ტყეს, პალიასტომის ტბას ან ცხენისწყალს აფხაზეთიანად). პატრონი დიაღაც ყველაფერს სჭირდება. უბრალოდ, იმას ვჩივი, რომ რაკი უნდა გავყიდოთ, ყველაფერი ხელაღებით მაინცდამაინც დღეს არ გავყიდოთ, თორემ სამი წლის შემდეგ, როცა ეკონომიკის სამინისტრო საჭირო აღარ იქნება, აღარც გასაყიდი დაგვრჩება რამე.

ერთ-ერთმა გაზეთმა ისიც კი დაწერა, გეგმის მიხედვით სულ მალე გამომცემლობა „სამშობლო“ უნდა გაიყიდოსო. „სამშობლო“ ქართული მასმედიის ბაბილონის გოდოლია და მისი ასე ჰაიჰაირად გასხვისების პერსპექტივამ შეგვაჩქვიფა. ამ შენობის მიმართ იქ მობინადრე რედაქციებს განსაკუთრებული დამოკიდებულება და მიზნები გვაქვს.

გადავამოწმეთ: ეკონომიკის სამინისტროშიც და ქონების მართვის სააგენტოშიც პასუხისმგებელმა მუშაკებმა დაბეჯითებით გვითხრეს: „სამშობლოს“ გაყიდვა ჯერჯერობით გეგმაში არ ზის, ამის შესახებ საკითხი ჯერ საერთოდ არ დამდგარაო.

ამრიგად, „სამშობლო“ ჯერჯერობით რჩება. თუმცა ეს ბატონ კახას პილპილიანი მეტაფორით თუ ვიტყვით, „ის“ არის იმასთან შედარებით, რომ სამშობლო ხელიდან გვეცლება. ამ შემთხვევაში სამშობლოში იმას, ვგულისხმობ, რაც ამ სამშობლოში მიწის ზევითაა.

ძალაუნებურად დიდი ნიკო ლორთქიფანიძის ცრემლიანი „საქართველო იყიდება“ გაგახსენდება...

**ალეკო ასლანიშვილი.**

სამრეკლო

# რაც ერის საწუხარი უნდა იყოს

**თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ჩვენს ქვეყანას შინაგამცემებიც მრავლად ჰყოლია და ბევრი ისეთი ფაქტიც მომხდარა, რომელთა გახსენებაც გულს სირცხვილისა და ტკივილისაგან გვიკუმშავს, რასაც უილაჯობის განცდაც ემატება იმით გამოწვეული, რომ უკან ვერც დროს დავაბრუნებთ და ჩვენი ხალხის ისტორიიდან ვერც ამ ღირსების შემლახველ ლაქებს ამოვშლით. სამაგიეროდ, შეგვიძლია, უკეთუ თავს ერის განუყოფელ ნაწილად ვთვლით, მათ გამო პასუხისმგებლობა გავინაწილოთ და მათი გამოსყიდვისათვის ვიზრუნოთ.**

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ასეთი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით ბნელი და ღირსებისშემლახველი ლაქა დიდი ილიას მკვლელობაა. მიუხედავად იმისა, რომ სადაცაა საუკუნე გადის, ჩვენს ხალხს მთლად კარგად გაცნობიერებული არა აქვს, რა მოხდა 1907 წლის 30 აგვისტოს. გაცნობიერებული რომ გვქონდეს, გამოცდილებასაც შევიძენდით და მსგავსი საბედისწერო ცოდვების ჩადენისაგან თავის შესაკავებლად სულიერი თვალიც აგვეხილებოდა.

ამაოდ ვინუგეშებთ თავს იმით, რომ ხალხი არაფერ შუაში ყოფილა და ილიას ტყვია ბოლშევიკებისაგან მოსყიდულმა არაკაცებმა ესროლეს. ამ მკვლელობას ხომ წინ წლების განმავლობაში სხვა შემზარავი მოვლენები უსწრებდა, რომელთა წინააღმდეგაც პროტესტი თუ მთელ ერს არა, მის საუკეთესო ნაწილს მაინც უნდა გამოეხატა; სამწუხაროდ, ქვეყნისთვის თავდადებული შვილის დასაცავად ხმა არავის ამოუღია.

30 აგვისტოს ბერბიჭაშვილისაგან ნასროლმა ტყვიამ მხოლოდ საბოლოოდ გააჩერა გულისძგერა იმისა, ვისაც მანამდე გული მრავალგზის ვატკინეთ და ვინც ჩვენს გულისძგერას მთელი სიცოცხლის განმავლობაში შიშით უგდებდა ყურს, რათა მტრებს არ გაეჩერებინათ და არ ეხილა სიკვდილი ხალხისა, რომელიც საკუთარ თავზე მეტად უყვარდა. ილიას მკვლელობაში მთელ ერს თვლიდა დამნაშავედ აკაკი წერეთელიც, სხვა შემთხვევაში „სულის ჩამდგმელ მხარეს" იგი ასე არ გაიმეტებდა და არ ეტყოდა: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ".

ილია საგურამოს გზაზე მოკლეს, როცა მეუღლესთან ერთად შინ, იმ სახლში ბრუნდებოდა, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში აშენებდა და ბავშვივით უხაროდა, რომ კარგი გამოვიდა. თურმე ამბობდა: ამ სახლის აშენებით ისეთი კმაყოფილი ვარ, თითქოს ცხოვრებაში უკეთესი არაფერი გამეკეთებინოსო. მისი სიხარული უფრო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სახლის ხშირი სტუმრები არა მხოლოდ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, არამედ ცნობილი უცხოელი მოღვაწეებიც იყვნენ, მათ შორის არტურ ლაისტი და მარჯორი უორდროპი. ცნობილია, რომ ისინი საგურამოში კვირაობით რჩებოდნენ. დიდი პოეტი მათ არა მხოლოდ კარგ სამუშაო პირობებს უქმნიდა, არამედ დიდად ეწეოდა იმაშიც, რომ ერთს გერმანულად და მეორეს ინგლისურად, რაც შეიძლებოდა, უკეთ ეთარგმნათ „ვეფხისტყაოსანი" და არა მხოლოდ ეს დიდებული პოემა, არამედ ქართველ კლასიკოსთა სხვა რჩეული თხზულებანიც. ილიას რწმენით, ქართული კულტურის გაცნობა ხელს შეუწყობდა იმას, რომ განათლებულ მსოფლიოს მისი შემქმნელი ერის ბედი გულთან მიეტანა და დედამიწის ზურგიდან მისი გაქრობის მოსურნეთ წინ აღდგომოდა. ესეც ერთ-ერთი გზა იყო ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლაში.



ილიას მოკვლის შემდეგ სახლში ერთი პირობა სიცოცხლე სრულიად ჩაკვდა. ქ-ნ ოლღას საგურამოსკენ გახედვაც აღარ უნდოდა და ისე აღესრულა, რომ იქ არც ერთხელ აღარ ჩასულა. 1908 წელს მისი ინიციატივით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილიასეულ სახლში ორკლასიანი სასწავლებელი გახსნა. ეს ფაქტი დიდი მწერლის მეუღლეს ისე გახარებია, რომ ინგლისში მარჯორი უორდროპისათვის მიუწერია: ჩემი წადილი აღსრულდა და ჩვენი სახლი უპატრონოდ არ დარჩაო.

საბჭოთა პერიოდში სახლი მწერლებისთვის გადაუციათ დასვენებისა და შემოქმედებითი მუშაობისათვის. 1949 წელს გიორგი ლეონიძეს დაუყენებია საკითხი, რომ მრავლისმომსწრე და მნახველ სახლში, რომელშიც დიდმა ილიამ სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა, მისი მუზეუმი გახსნილიყო და ორი წლის შემდეგ მიზნისთვისაც მიუღწევია: 1951 წლის 27 მაისს საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი გაიხსნა. იქიდან მოყოლებული, როგორც ამას ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი რამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორი, გახსნის დღიდან მუზეუმის თანამშრომელი ბ-ნი შალვა მარკოზაშვილი იხსენებს, სახლს კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება არაერთხელ დასჭირდა. განსაკუთრებით იგი მიწისძვრის შედეგად ამ რამდენიმე წლის წინ დაზიანდა, მაგრამ ღმრთის შემწეობით, უნივერსიტეტში ჩატარებული საქველმოქმედო ღონისძიებისა და ქართველი ბიზნესმენების გია ჯოხთაბერიძისა და ბიძინა ივანიშვილის ხელშეწყობით, დიდი შრომატევადი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, პირვანდელი სახე დაიბრუნა.

იხ. მე-4 გვ.

სულიერება

# ათასი წელი აშორებთ ერთმანეთისგან, მაგრამ მათი ღვაწლი და წამება მსგავსია

**დღეს, 4 ივლისს, ქართული ეკლესია აღნიშნავს წმიდა მოწამეთა – მეფეების არჩილისა და ლუარსაბის ხსენების დღეს.**

საქართველოში მურვან ყრუს შემოსევის დროს მეფე არჩილი და მისი უფროსი ძმა – მირი აფხაზეთს გაიხიზნენ და ღმერთს მხურვალედ ევედრებოდნენ შემწეობას. უფალმა ისმინა მართალთა ლოცვა: ერთ ღამეს წმიდა არჩილს ყოვლადუბიწო ქალწული გამოეცხადა და უბრძანა: „აღდეგ და ებრძოლე უსჯულოთა მათ, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ წინა წარგიძღვის თქუენ და თქუენ წილ უფალი ბრძოდის". მირი და არჩილი მცირედი მხედრობით „მინდობითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა" დაესხნენ თავს მტრის ბანაკს. შეტაკება ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

თორმეტი წელიწადი იჯდა არჩილი ქუთაისში და ყოველნაირად ცდილობდა სრულიად საქართველოს გაერთიანებას, შემდეგ ქართლში გადავიდა და არაბთაგან აოხრებული ამ ულამაზესი კუთხის აღმშენებლობას შეუდგა.



მურვან-ყრუსაგან დარბეული ქვეყანა ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, როცა არაბთა მარბიელმა ლაშქარმა ჭიჭუმ ასიმის მეთაურობით კვლავ ააოხრა ქართლი და გეზი კახეთისაკენ აიღო. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, არჩილ მეფემ გადაწყვიტა „სულისა თვისისა დადებად სახსრად ქრისტიანეთათვის". „უმჯობეს არს სიკვდილი ჩემი, ვიდრეღა კუალად განრყუნად ეკლესიათა ქრისტჱსთა და ოხრებად ქვეყანისა ამის", – ბრძანა მეფემ და ჭიჭუმ ასიმს ეახლა მშვიდობის სათხოვნელად.

რამდენიმე დღე დიდებულად ისტუმრა ჭიჭუმმა ქართველთა მეფე, შემდეგ ლიქნით ცდუნება დაუწყო და მაცხოვნებელი სჯულის დატევება და სარკინოზთა სარწმუნოების მიღება მოსთხოვა, სანაცვლოდ კი „აღუთქუმიდა ნიჭთა დიდ-დიდთა".

ზეგარდმო სულით აღვსილმა ცხებულმან უფლისამან ბრძანა: „მე რომ შენ დაგიჯერო, უნდა მოვკვდე სიკვდილით, რომლის შემდეგადაც უნდა ვიტანჯო... ღმერთმან ჩვენმან და მაცხოვარმან ჩვენმან ჩვენი ხსნისათვის თავი დადო, ამიტომაც მე არ მეშინია სიკვდილის. თუ მომკლავ, მეც ისევე აღვსდგები სიკვდილის შემდეგ, როგორც ღმერთი ჩვენი და კვლავ ვადიდებ მას".

განრისხებულმა ჭიჭუმმა ბრძანა მეფის საპყრობილეში ჩასმა.

ღვთისმოსავი მეფე არჩილი საპყრობილეში იმყოფებოდა და გულმოდგინედ ევედრებოდა უფალს, მოენიჭებინა მისთვის ძალა სატანჯველთა დათმენისა.

ბოლოს განრისხებულმა უსჯულომ მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა. მსახურებმა გაიყვანეს ღვთისთვის ნებსით თავგადადებული მეფე. წმიდანმა მცირე დრო ითხოვა სალოცავად, მუხლი მოიდრიკა და ხელაპყრობილმა მადლობა შესწირა შემოქმედს. მაცხოვარს შეევედრა კეთილად დაეცვა ეკლესია, განემტკიცებინა ქრისტიანობა საქართველოში, ილოცა ოჯახისთვის და მშვიდად წარუპყრა ქედი ჯალათებს.

ღამით ქართველმა აზნაურებმა ფარულად წამოასვენეს წმიდა არჩილ მეფის გვამი, დიდი პატივით შემურეს და ნოტკორაში, მის მიერვე აგებულ ტაძარში დაკრძალეს.

* * *

1606 წელს ქართლის მეფის გიორგი მეათის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი 14 წლის მემკვიდრე **ლუარსაბი**. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოსთვის ერთმანეთს ებრძოდნენ თურქები და სპარსელები. შაჰ-აბას პირველმა თურქებს აღმოსავლეთ საქართველო წაართვა, დასავლეთ საქართველოსა და მესხეთს კი ისევ თურქები განაგებდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს დაკარგვით გაბრაზებულმა თურქებმა ყირიმელ თათრებთან ერთად გადამწყვეტი ლაშქრობის მოწყობა განიზრახეს და მოულოდნელად თავს დაესხნენ ქართლს. მეფემ ჯარი შეკრიბა და ტაშისკართან სასტიკად დაამარცხა ისინი. ამ დროს ლუარსაბი 17 წლისა იყო. ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცით ზაზა ციციშვილი და გიორგი სააკაძე გამოირჩეოდნენ.

გიორგი სააკაძემ სახლში მიიწვია გამარჯვებით გახარებული მეფე. ნადიმზე ლუარსაბ მეფეს გიორგის და მოეწონა და მიუხედავად სამეფო კარის წინააღმდეგობისა, მალე დაქორწინდა კიდეც მასზე.

შემდგომმა მოვლენებმა მტრობა ჩამოაგდო ლუარსაბ მეფესა და გიორგი სააკაძეს შორის. ეს უკანასკნელი საქართველოდან გაიქცა და შაჰ-აბასს სთხოვა თავშესაფარი.

შაჰ-აბასმა შემდეგ ლუარსაბ მეფე გაიტყუა სპარსეთში და ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. ლუარსაბმა სასტიკი უარი განუცხადა.

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

<u>მკვლელობა</u>

**ადანაშაულებენ არძინბას კლანს**

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ამცახარა" თავისი ერთ-ერთი ლიდერის, აფხაზეთის გმირის გარი აიბას მკვლელობაში თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას კლანს ადანაშაულებს.**

**„ამცახარას" პოლიტსაბჭოს წევრის განცხადებით, რომელიც ვინაობის დასახელებისაგან თავის შეკავებას ამჯობინებს, გარი აიბას მკვლელობა მას შემდეგ განხორციელდა, „რაც პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო აფხაზეთში შემოდგომისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ამცახარას" მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად ახალგაზრდა, ენერგიული, მოსახლეობაში საკმარისი ავტორიტეტის მქონე, აფხაზეთის გმირის გარი აიბას დასახელება".**

**იმავე წყაროს მტკიცებით, აიბას მკვლელობა იმ ძალების განხორციელებულია, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ აიბას გაპრეზიდენტების შემთხვევაში იგი არძინბას კლანს აფხაზეთის კუთვნილ, უკანონოდ მითვისებულ ქონებას ჩამოართმევდა და მათ გავლენას მნიშვნელოვნად შეამცირებდა.**

<u>კონტრაბანდა</u>

**ტვირთს აღმა-დაღმა დააქროლებენ!**

**სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსური პოლიციის, სენაკის პოლიციის და სენაკის ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლებმა რეიდი ჩაატარეს ზუგდიდი-სენაკი-თბილისის საავტომობილო გზაზე, რათა ერთობლივად გამოევლინათ ის აღურიცხავი და უკანონო ტვირთები, რაც შემოდის როგორც აფხაზეთიდან, ასევე სხვა ტერიტორიებიდან და ძირითადად ბათუმისა და ფოთის პორტების მიმართულებით გადაადგილდება.**

**აღმოჩენილია 300 კუბური მეტრი ხეტყის მასალა, რომელიც გარდაბნიდან ბათუმის პორტში გადაჰქონდათ. აღმოჩენილია 70 ტონა პურის ფქვილი, რომლის ზედნადები გაფორმებული იყო შესაბამისი დოკუმენტაციების გარეშე და ფაქტობრივად არ არსებობს ის პიროვნება, რომელმაც ეს პურის ფქვილი შეისყიდა.**

**აგრეთვე აღმოჩენილია დაახლოებით 10 ტონამდე ჯართი, რომელიც აფხაზეთიდან იყო შემოტანილი და ფოთის პორტის მიმართულებით მიდიოდა, რათა შემდეგ მისი ტრანსპორტირება თურქეთის მიმართულებით მომხდარიყო.**

**ყველა ავტომანქანა მეპატრონეებს ჩამოართვეს და სამტრედიის ტერმინალში გადაიყვანეს.**

<u>დაკავება</u>

**აიყვანეს „თბილსრესის" აღმასრულებელი დირექტორი**

**შს სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად, სს „თბილსრესის" აღმასრულებელი დირექტორი თამაზ გზირიშვილი დააკავეს.**

**როგორც „ინტერ-პრესს" შს სამინისტროში განუცხადეს, გზირიშვილმა თანამდებობრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა და თანამშრომლებთან – გიორგი ზამთარაძესა და გოჩა ინაურთან ერთად, 2002-2003 წლებში „თბილსრესის" № 1 და № 2 ენერგობლოკების მატერიალური ფასეულობების რეალიზაციით მიღებული 264.000 ლარი მიითვისა.**

**ინტერ-პრესი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 153, კვირა, 4 ივლისი, 2004 წელი.

◉ სამრეკლო

# რაც ერის საწუხარი უნდა იყოს

(მესამე გვერდიდან)

მიუხედავად იმისა, რომ სახლის კაპიტალური შეკეთება კარგა ხანია არა თუ დამთავრდა, არამედ უკვე დაძველებასაც იწყებს, მუზეუმი დღემდე არ გახსნილა. როგორც საგურამოში ჩასულ საპატრიარქოს გამომცემლობის თანამშრომლებს ბ-ნმა შალვამ გვითხრა, ამის მიზეზი ისაა, რომ უკან არ დაბრუნებულა ილიასეული ნივთები, რომელნიც სარესტავრაციოდ სპეციალისტებს გადაეცათ. მანვე გულისტკივილი გამოხატა იმის გამო, რომ მუზეუმის თანამშრომლები იძულებულნი არიან ილიას სახლ-მუზეუმის დათვალიერების მრავალი მსურველი უარით გაისტუმრონ. განსაკუთრებით გული სწყდებათ, როცა უარს შორიდან მოსული სკოლის მოსწავლეებს ეუბნებიან. ამიტომ მთლად „ხელცარიელი“ რომ არ გაუშვან, ილიას ცხოვრების იმ პერიოდზე, რომელიც საგურამოსა და ამ სახლს უკავშირდება, ეზოში ესაუბრებიან. თუმცა, ბუნებრივია, ეს ვერ აკმაყოფილებს მათ, რომელნიც აქ ილიასეული ნივთებისათვის თვალის შესავლებად მოდიან.

ჩვენ თბილისში სარესტავრაციოდ წამოღებული ექსპონატების ბედით დავინტერესდით და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში რესტავრატორ ფარსადან ერისთავს მივაკითხეთ. როგორც ბ-ნმა შალვამ გვითხრა, რესტავრატორთან წმ. ილია მართლის ნაქონი მართლაც მრავალი საინტერესო ნივთი აღმოჩნდა, სახელდობრ, საწერი მოწყობილობა, ჭაღი, შანდლები, კედლის საათი (სანუგეშოდ მოგვეჩვენა, რომ რესტავრაციის შემდეგ იგი მუშაობს), თოფი, აბჯარი, სატევარი, უნაგირი, თოფის საწამლე, ქ-ნი ოლღას მოხატული სკივრი და ის ხელჯოხიც, რომელიც წმიდანის ცნობილ ფოტოზეცაა აღბეჭდილი და რომელსაც იგი, სპეციალური მოწყობილობის წყალობით, ქოლგადაც იყენებდა.



ჩვენი ყურადღება მიიქცია ალისფერი აბრეშუმის ნაჭრისაგან შეკერილმა დროშამ, რომელიც წმინდა ილია მართლისათვის 1903 წლის 3 ივლისს მიუძღვნიათ. დროშას ამკობს ოქროს ძაფებით ამოქარგული სიტყვები, რომელიც ასე ესადაგება დიდი ილიას მთელ ცხოვრებას: „კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელსავით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათებდეს“. აბრეშუმის ნაჭერი სიძველისაგან უკვე იმსხვრევა, ამიტომ ამ რელიკვიას განსაკუთრებით ფაქიზი მოპყრობა სჭირდება. რესტავრატორის აზრით, დროშის გამოფენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მას მინის კარებიან კარადაში მოათავსებენ. კარგი იქნებოდა მისი ასლის დამზადებაც.

ბ-ნ ფარსადანსა და მის ვაჟს ნივთების აღსადგენად მართლაც გულმოდგინედ უშრომიათ და საქმეც დიდი ხანია დაუმთავრებიათ: ყველა მათგანი ჩვენ აღდგენილი და განახლებული სახით ვიხილეთ. მაშინ რა უშლის ხელს, რომ ნივთები მუზეუმს დაუბრუნდეს?

როგორც ბ-ნმა ფარსადანმა გვითხრა, ამის მიზეზი მის მიერ გაწეული შრომის აუნაზღაურებლობაა. თუმცა იგი თანახმაა გაცილებით ნაკლებ თანხას დასჯერდეს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაგრამ ვის უნდა აცნობოს ამის შესახებ, როცა სახლ-მუზეუმის დირექტორი, რომელიც ამგვარ საკითხებზეა პასუხისმგებელი, კარგა ხანია თვალითაც არ უნახავს?

ფარსადან ერისთავს, რომელსაც რესტავრაცია საქართველოს თერთმეტი მუზეუმის ექსპონატებისთვის აქვს გაკეთებული, კარგად ესმის რა მნიშვნელობა აქვს წმიდა ილია მართლისეული ნივთების მოვლა-პატრონობას ღმრთისა და ერის წინაშე და ამიტომაც წუხს, რომ თავის სახელოსნოში საშუალება არა აქვს შესაფერისი პატივით მოეპყრას მათ, მაგრამ ეს მხოლოდ მისი საწუხარი უნდა იყოს, თუ ყველა იმ ქართველისა, რომელიც წმინდანის ღვაწლს ჭეშმარიტად აფასებს, განსაკუთრებით კი იმათი, ვისაც ქვეყნისაგან მათი დაცვა და შენახვა აქვთ მინდობილი?

ჩვენ პირადად არ შევხვედრივართ მეორე რესტავრატორს, ჯონი ახობაძეს, რომელმაც რესტავრაცია ილიას სახლ-მუზეუმის კუთვნილ სურათებს ჩაუტარა, მაგრამ, როგორც ფარსადან ერისთავმა გვითხრა, სურათებთან დაკავშირებითაც ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი.

სამი წლის განმავლობაში საგურამოს სახლ-მუზეუმის გაუხსნელობის მიზეზთა გაცნობამ და ჩვენმა დამოკიდებულებამ იმ ნივთებისადმი, რომელნიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვის შემდეგ უკვე სიწმინდეებს წარმოადგენს, ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ კარგად მართლაც არა გვაქვს შეგნებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც იმ ცოდვის გამო გვაკისრია, თითქმის საუკუნის წინ რომ ჩავიდინეთ.

საგურამოს სახლ-მუზეუმსა და ფარსადან ერისთავის სახელოსნოში უწესრიგოდ მიმოფანტულმა, ხშირ შემთხვევაში მტვერწაყრილმა წმინდა რელიკვიების ხილვამ, უნებლიეთ ის პრობლემა გაგვახსენა, რომელიც დიდმა ილიამ გენიალურ მოთხრობაში „კაცია ადამიანი?!“ წამოჭრა და რომელსაც ქართულმა სამეცნიერო კრიტიკამ თათქარიძეობა უწოდა. მართლაც, საშიშია ჩვენი გულგრილობით, უდარდელობითა და არხეინობით ჩვენი ქვეყანა თათქარიძის ღობემორღვეულ, მოუვლელობით გავერანებულ ეზოგარემოს არ დავამსგავსოთ.

**გვანცა კოპლატაძე,**
**გრიგოლ რუხაძე.**
**გაზეთი „მადლი“ №5.**
**ივნისი-ივლისი 2004 წელი.**

◉ სულიერება

# ათასი წელი აშორებთ ერთმანეთისგან, მაგრამ მათი ღვაწლი და წამება მსგავსია

(მესამე გვერდიდან)

დატყვევებული გვირგვინოსანი შირაზს წაიყვანეს და დილეგში ჩააგდეს. შვიდი წლის განმავლობაში ყოველდღე შედიოდნენ მასთან ციხეში მოლები, „ჰოი, მეფეო! შეიწყალე სიჭაბუკე შენი და ნუ ეურჩები ბრძანებასა შაჰისასა, დაუტევე სარწმუნოება შენი და იწამე მაჰმადი, თორემ მწარე ტანჯვა და სიკვდილი მოგელის!“ – უქადაგებდნენ ისინი წმინდანს. „რაცა გნებავთ ყოფად ჩემდა, ჰყავით და აღასრულეთ ბრძანება ყაენისა“, – პასუხობდა ლუარსაბი.

შაჰი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვერაფერი შეარყევდა ლუარსაბის სარწმუნოებას, განრისხებულმა საპყრობილეში გაგზავნა ჯალათები და მეფის წამებით მოკვდინება ბრძანა.

წმიდა ლუარსაბმა ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაიჩოქა და მხურვალედ შეჰღაღადა: „ჰოი, დედოფალო ჩვენო ღმრთისმშობელო, შენდამი დამიძს ყოველი სასოებაჲ ცხოვრებისა ჩემისა, შენ ხარ მფარველი ჩემი, შენ ხარ ნუგეშისმცემელი ჩემი, შენ მომეც მე შეწევნაჲ ღუაწლისა ამის ჩემისა, შენ მიოხე წინაშე ძისა შენისა და შემრთე წმიდათა მოწამეთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.

ლოცვის დამთავრებისთანავე ჯალათები დილეგში შევიდნენ და მშვილდის საბლით შეუბრალებლად მოაშთვეს ღვთისმოსავი მეფე. ღამით წმიდა მოწამის დაუფლველ გვამს საკვირველი ნათელი დაადგა და მრავალი მნახველი გააკვირვა. მეორე დღეს წმიდა დიდებული მოწამის სხეული ციხის ეზოში დაფლეს.

ეს მოხდა 1622 წელს. მაშინ წმიდა ლუარსაბი 35 წლის იყო.

წმიდა არჩილსა და ლუარსაბს ათასი წელი აშორებთ ერთმანეთს, მაგრამ საქართველოს ეკლესიამ მათი ხსენება ერთ დღეს განაწესა ღვაწლისა და წამების მსგავსების გამო.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ.**

◉ წუთისოფელი



# ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

**ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს**

ჩავიცვით საკუთარი ტანისამოსი და შეგვიყვანეს ვეებერთელა საკანში, სადაც ორასამდე კაცი დაგვხვდა. საკანი საკმაოდ ნათელი ჩანდა, არც სისუფთავის მხრივ იყო სასაყვედურო, მხოლოდ თვალში გეცემოდათ პატიმართა დაღვრემილი, მელანქოლიური სახეები. სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ, ახალგაზრდებიც, მოხუცებიც; სასჯელის ვადაც სხვადასხვა ჰქონდათ. მე ჯერ გამორკვეული არ ვიყავი მგზავრობის ბურანიდან, მაგონდებოდა მხოლოდ სამშობლო და ჩემიანები. დაღამდა. მიჩუმდა პატიმართა ხმაური. უცებ გადაიწია საკნის კარის საჭვრეტელი („ვალჩოკი“) და ვიღაცამ შემოიძახა: Кто здесь из Кутаиской губерний. მე გავეცი პასუხი და დავუსახელე ჩემი გვარი. იგი ისევ გამომეხმაურა, რომელი ჩიქოვანი ხარ, გვანჯი თუ სხვაო? მე გამამხნევა და გამახარა ჩემი სახელის ხსენებამ უცხო მხარეში და ისიც კატორღაში. ახლოს მივედი კარებთან და ისევ გავეცი პასუხი, ჩემი ვინაობა დავუდასტურე. ამის შემდეგ ხელად გააღეს კარი და შემოვიდა ხუთი თუ ექვსი კაცი, ქართველები. პირველი მათგანი, ვინც გამომეცნაურა, იყო მალხაზ ჩაჩიბაია. იგი გაცნობილი მყავდა ქუთაისის ციხეში, ჩემამდე ერთი წლით ადრე გადაასახლეს და მაშინ დავშორდით ერთმანეთს. მალხაზი გადამეხვია და გამამხნევა. შემდეგ მომიახლოვდა კეთილი სახის ჭაღარა კაცი და მითხრა, მე ბიძია მელიტონ ჩხეტია ვარ და ზუგდიდიდან მახსოვხარ, იქ ათი-თორმეტი წლის ბავშვი დაგტოვეო. გამომკითხა ყველაფერი ჩვენი ოჯახისა და საერთო ამბებიც. ეს მელიტონ ჩხეტია უკვე კარგა ხნის გადმოსახლებული იყო, მისჯილი ჰქონდა სამუდამო კატორღა. ჩემი ამბავი ჩემს ჩასვლამდე გაეგოთ მალხაზს, მელიტონს და სხვა ქართველ პატიმრებსაც. ამათ გარდა, მახსოვს კიდევ მაკალათია, თბილისელი ამილახვარი და სომეხი ხუშუტ ოვანესიანი, სომეხ-თათართა შეტაკების მონაწილე, მთელ კატორღაში „ყაჩაღ ხუშუტის“ სახელით ცნობილი. მეტად კარგი ვაჟკაცი იყო, პატიმრები დიდ პატივს სცემდნენ. როგორც მითხრეს, იმ ხოცვა-ჟლეტის დროს მაგრად უბრძოლია თათრების წინააღმდეგ, ბლომად დაუღვრია მტრის სისხლი.

**(გაგრძელება იქნება)**

გავიხედე და კარებთან დგას ის კაპიტანი, რომელმაც პატივი მცა და გვერდით მდგომ ხნიერ პოლკოვნიკს ელაპარაკება. მე მივედი მასთან, შემომხედა, შემატყო, რისი თქმაც მინდოდა, რაღაც ჩუმად გადაულაპარაკა პოლკოვნიკს და იმ წუთასვე გასცეს ბრძანება – ჩვენ, თვრამეტივეს, ისევ გაგვხადეს ციხის ტანსაცმელი და საკუთარი დაგვიბრუნეს. ამის შემდეგ მალე აგვიყვანეს მეორე სართულზე და ე. წ. „ტუზემნი“ საკანში მოგვათავსეს. მოსკოვის ციხეში დავყავით ოთხი თვე, რის შემდეგაც, კატორღაში გასაგზავნად, საექიმო კომისია დაინიშნა. ყველას ეშინოდა სახალინზე გაგზავნისა, რადგან რუსეთის იმპერიის კატორღათა შორის იგი ყველაზე შემზარავი და დამღუპველი იყო. კომისია მუშაობას შეუდგა. ყველანი ვღელავთ, გული გამალებით გვიცემს. ბოლოს მოაღწია ჩემმა ჯერმაც. საკომისიო დარბაზში ვიღაცამ შორიდან დაიძახა „На Сахалин“! ამ სიტყვის გაგონებამ თავზარი დამცა. ისე გამსინჯეს, რომ არ მახსოვს, ვინ რას ამბობდა. წამოვედი და დავდექი კარებთან. ძლიერ ვღელავ, მინდა ისევ შევიდე და ვთხოვო კომისიას, შემიცვალოს სახალინი. ამ დროს ილება კარები და ისევ მეძახის კომისია. შევდივარ აღელვებული და კომისიის უფროსი მეუბნება: დამშვიდდი, ნუ ღელავ, კავკასიელო, შენ გაგამწესეთ ალექსანდროვსკის კატორღაში. ამან უსაზღვროდ გამახარა, რადგან ალექსანდროვსკის კატორღას ყველა აქებდა. მე მადლობა გადავუხადე კომისიას და გამოვედი. მეორე დღეს დავემშვიდობე ამხანაგებს. მათ შორის კარგად მახსოვს ალმასხან და სიმონ ბუზალაძეები, სვანი ფილიპე შარვაშიძე, გოლბერგი... ჩემთან ერთად ალექსანდროვსკში გაგზავნეს მხოლოდ ერთი ქართველი, მოხუცი კაცი, თედო ხარშილავა, მოსკოვის ქუჩებში ხალხი კვლავ გაფაციცებით გვიყურებდა, ქალები ნაირ-ნაირ საჩუქრებს გვიწვდიდნენ. მხლებელი ფელდფებელი ართმევდა მათ ამ საჩუქრებს და ყველას გვინაწილებდა. მიგვიყვანეს სადგურზე და ჩაგვსვეს ციმბირის მატარებელში. ეს იყო 1903 წლის პირველი იანვარი. გზაში რამდენიმე დღით შევჩერდით კრასნოიარსკში, სამარაში, ბოლოს ჩავედით სოფელ უსოლიაში და ზამთრის საშინელ სიცივეში ოცდაორი ვერსი ვიარეთ ფეხით და 19 იანვარს, სასტიკად დაქანცულებმა ჩავაღწიეთ ალექსანდროვსკის უზარმაზარ ციხეში, სადაც უნდა მომეხადა 4 წლის კატორღა.

## ალექსანდროვსკის ციხეში ყოფნის პერიოდი

იქაური ციხის უფროსის მოადგილის, კულაკოვის განკარგულებით გაგვხადეს საზამთრო ტანსაცმელი, რომელიც ყინვისგან გახეშეშებული იყო.

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 147-152.**

ალექსანდრე ვიტგენშტეინი (ცენტრში) ბიძიშვილებთან ერთად



⊙ 4 ივლისი — აშშ ეროვნული დღესასწაული

# ასე დაიწერა დამოუკიდებლობის დეკლარაცია

**იურისტებმა გიორგი და თეიმურაზ გეწაძეებმა აშშ-ს შესახებ გამოსაცემად მოამზადეს ენციკლოპედიური დანიშნულების წიგნი, რომელშიც მოცემულია აშშ მოკლე ისტორია, ცალკეულ შტატებზე (ორმოცდაათივე შტატზე) წარმოდგენილია ფართო ინფორმაცია, წიგნში შეტანილია აგრეთვე ორმოცდასამივე პრეზიდენტის ბიოგრაფიული მონაცემები.**

**წიგნში საუბარია აშშ საკანონმდებლო, მმართველობითი, მართლმსაჯულების განმახორციელებელი, სამართალდამცავი ორგანოების შესახებ და სხვა მრავალი საინტერესო საკითხები.**

**ვაქვეყნებთ ფრაგმენტებს გამოსაცემი წიგნიდან, აშშ დამოუკიდებლობის დეკლარაცია.**

ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადებას წინ უძღოდა ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული დიდი ბრიტანეთის კოლონიების წარმომადგენელთა მოთხოვნა დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. თუმცა მათ შორის იყვნენ ისეთები, ვინც მხარს არ უჭერდა დიდი ბრიტანეთიდან მთლიანად გამოყოფას. მწვავე დაპირისპირებით გამოწვეულმა რეალობამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი, შექმნილიყო სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე საფუძვლიანი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა კოლონიების უფლებას დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. სწორედ ამერიკის კოლონიების დამოუკიდებლობის საკითხი უნდა განეხილა ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების წარმომადგენელთა || კონტინენტურ კონგრესს, რომლის სესიაც უნდა გახსნილიყო 1776 წლის 1 ივლისს, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ტექსტის პროექტის შემუშავება სესიის გახსნამდე ორი კვირით ადრე — 1776 წლის 18 ივნისს დაავალეს ხუთ პიროვნებას: ბენჯამინ ფრანკლინს, ჯონ ადამსს, თომას ჯეფერსონს, როჯერ შერმანს, რობერტ ლივინგსტონს. მათ პირველი ივლისისათვის კონგრესის სესიაზე უნდა წარმოედგინათ დამოუკიდებლობის დეკლარაციის პროექტი. ხუთეულმა პირველსავე შეკრებაზე დაადგინა, რომ დეკლარაციის პროექტი უნდა დაეწერა ორ იურისტს — 41 წლის ჯონ ადამსს და 33 წლის თომას ჯეფერსონს. ჯეფერსონმა დეკლარაციის პროექტის დაწერის უფლება შესთავაზა თავისზე უფროს და გამოცდილს ჯონ ადამსს. ადამსმა უარი განაცხადა და თ. ჯეფერსონი შეუდგა დეკლარაციის პროექტის წერას.

— ჯეფერსონი მუშაობისას შეგნებულად არ იყენებდა რაიმე წიგნს, ცნობარს, სახელმძღვანელოს, რათა დეკლარაციის პროექტი ყოველგვარი გავლენისგან თავისუფალი ყოფილიყო. მან დეკლარაციის პროექტის დაწერას 11 დღე მოანდომა — 18-29 ივნისი. 11 დღის თავაუღებელი მუშაობის დროს იგი რამდენჯერმე მხოლოდ ჯ. ადამსმა მოინახულა, იმის გასაგებად, მოესწრებოდა თუ არა დეკლარაციის პროექტი კონგრესის სესიის გახსნისათვის. გადმოცემით დეკლარაციის პროექტის ტექსტში სულ 15 შესწორება იქნა შეტანილი, მათგან უმეტესობა ავტორისეული იყო. 1776 წლის 1 ივლისს ქ. ფილადელფიაში გაიხსნა კონტინენტური კონგრესის სესია. 13 შტატის წარმომადგენლებმა დამოუკიდებლობის გამოცხადების რეზოლუცია, ფაქტობრივად, ერთხმად მიიღეს. თავი მხოლოდ ნიუ-იორკის შტატის წარმომადგენლებმა შეიკავეს, ვინაიდან ნიუ-იორკის ასამბლეის გადაწყვეტილება ოფიციალურად არ იყო მიღებული, თორემ ყველამ იცოდა, რომ ნიუ-იორკიც დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს. 1776 წლის 2 ივლისს ამერიკის შტატებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 4 ივლისს || კონგრესმა მოიწონა თომას ჯეფერსონის შედგენილი დამოუკიდებლობის დეკლარაცია და მიიღო იგი, რაც დაადასტურეს ხელმოწერებით კონგრესის თავმჯდომარემ ჯონ ჰანკოკმა და კონგრესის მდივანმა ჩარლზ თომასმა.

**სახელმწიფოს დაბადების ოფიციალურ დღესასწაულად 4 ივლისი დადგინდა დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებიდან 7 წლის შემდეგ — 1783 წელს, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების დამთავრებისთანავე.**

მოგვიანებით, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი თომას ჯეფერსონი აშშ მეორე ვიცე-პრეზიდენტი და მესამე პრეზიდენტი გახდა, ხოლო ჯონ ადამსი აშშ პირველი ვიცე-პრეზიდენტი და მეორე პრეზიდენტი.

აშშ დამოუკიდებლობის დღის დაწესებასთან დაკავშირებით ჯონ ადამსი თავის მეუღლეს აბიგეილ სმიტს სწერდა: „ვფიქრობ მომავალი თაობები ამ დღეს აღნიშნავენ, როგორც ყოველწლიურ გრანდიოზულ დღესასწაულს.. იგი ყოველწლიურად უნდა აღინიშნოს მთელ კონტინენტზე ზარზეიმით, აღლუმებით, წარმოდგენებით, თამაშობებით, სპორტული პაექრობებით, ზარბაზნების გრიალით და ზარების რეკვით, ჩირაღდნებით და ფეიერვერკებით“...



**აშშ პირველი ხელისუფლება: თომას ჯეფერსონი, ალექსანდრ ჰამილტონი, ჯორჯ ვაშინგტონი.**

უნდა ითქვას, რომ ადამსის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდნენ, შესაძლოა ისინი იქცნენ მომავალი თაობის ამგვარ ქმედებათა სახელმძღვანელოდ, ყოველ შემთხვევაში დღევანდელი ამერიკელები ამ დღესასწაულს იმგვარად აღნიშნავენ, როგორც ჯონ ადამსს წარმოედგინა, 4 ივლისს მრავალ შტატში ტარდება აღლუმები. ფილადელფიაში, სადაც გამოქვეყნდა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ეწყობა კოსტიუმირებული წარმოდგენები, რომლებშიც აღადგენენ იმ ისტორიულ პროცესს, ქუჩაში გამოდიან კოსტიუმირებული აშშ სახელმწიფოს შემქმნელი მამები. მხატვრულად აფორმებენ იმდროინდელ სცენებს.

ზოგიერთ ქალაქში ტარდება საზეიმო სვლა დროშებით და ორკესტრებით. პოლიტიკოსები გამოდიან პატრიოტული სიტყვებით და მოწოდებებით.

დღესასწაულის დღე დამახასიათებელია საოჯახო საზეიმო სადილებით და პიკნიკებით. ამ დღეს მასობრივად ტარდება სპორტული პაექრობები. დღესასწაულის განუყოფელი, აუცილებელი ატრიბუტია ღამის ფეიერვერკები.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი, აშშ მესამე პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი რვა წლის პრეზიდენტობის შემდეგ წერდა: „ისეთ მმართველობის სისტემაში, როგორიც ჩვენია, უმაღლესი ხელისუფლების მქონე პირმა ყველა კეთილგონივრული საშუალება უნდა გამოიყენოს, რათა იქცეს ერის ერთიანობის სიმბოლოდ, უნდა შეძლოს საზოგადოების მთელი ძალების შეკავშირება და წარმართვა ერთიანი მიზნის მისაღწევად“.

**გიორგი გეწაძე,**
**ადვოკატი;**
**თეიმურაზ გეწაძე.**

⊙ ახალი წიგნიდან

## ბერნს ჯეიმს მაკგრეგორი:

# კაირო: გენერალისიმუსი

რუზველტმა საკუთარ თავს გადააჭარბა კონფერენციის მეორე დღეს. საღამოთი ჩანთან და ქალბატონთან ერთად სადილობისას მან ნათლად გააგებინა მათ, რომ ომის შემდეგ ჩინეთი „დიდი ოთხეულის“ წევრობის სრულ უფლებას მიიღებს. მან ჩინეთს შესთავაზა წამყვანი როლი იაპონიის ომისშემდგომ ოკუპაციაში — ჩანმა ამაზე უარი განაცხადა — და რეპარაციათა მიღებაში. პრეზიდენტი დათანხმდა ოთხ ჩრდილოაღმოსავლურ პროვინციაზე, აგრეთვე ტაივანსა და პესკადორის კუნძულებზე ჩინეთის სუვერენიტეტის გავრცელების აღდგენაზე. დათანხმდა აგრეთვე იმაზე, რომ ჩინეთს და აშშ-ს ერთობლივად მოეხდინათ რიუკიუს კუნძულების ოკუპირება საერთაშორისო მეურვეობის პრინციპებით. რუზველტმა ზოგადი ფორმით შესთავაზა ჩანს ომის შემდეგ დაედოთ ხელშეკრულება ორი სახელმწიფოს უსაფრთხოების შესახებ. ჩვეულებისამებრ კოლონიალიზმთან მიმართებაში მან მკვეთრი პოზიცია დაიკავა და ჰონკონგის საკითხიც კი დააყენა.




ცოლ-ქმარი კეთილგანწყობით აღიქვამდა ყველა ამ წინადადებასა და კეთილ ჟესტს, თუმცა ჰონკონგთან დაკავშირებით გენერალისიმუსმა აზრი გამოთქვა, რომ პრეზიდენტს ეს საკითხი ინგლისელებთან ერთად განეხილა ამის თაობაზე შემდგომი მოლაპარაკებების წინ. რუზველტი ჩანს ერთ საკითხთან დაკავშირებით შეედავა, ან შეიძლება ითქვას, პირდაპირ პასუხს გაექცა. აი რას ეხება საქმე. ჩანმა ითხოვა, რომ მისი ქვეყნისთვის ნება დაერთოთ მონაწილეობა მიეღო შტაბების უფროსთა მრავალმხრივი კომიტეტის სხდომებში ან აშშ-ჩინეთის გაერთიანებულ საბჭოში, ორგანოში, რომელიც უნდა შექმნილიყო. მრავალმხრივმა კომიტეტმა უკვე განიხილა ეს საკითხი. ამერიკელები გულგრილად მოეკიდნენ, ინგლისელები კი ცივადაც კი, რაიმე იმაზე მეტს, ვიდრე ეს იყო ჩინეთის ან რუსეთის კომიტეტის სხდომებზე, სადაც იხილებოდა ვითარება ჩინეთის ან საბჭოთა ფრონტზე. ძირითადი სტრატეგია, რომელიც მომავალში უნდა განხორციელებულიყო, ინგლისელებსა და ამერიკელებს უნდა შეემუშავებინათ. მრავალმხრივმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ შექმნა მსგავსი პრეცედენტი. იმავე დღეს მან ჩაატარა სხდომა ჩინეთის როლზე იაპონიის განადგურებაში, მაგრამ ჩინელ სამხედროებს დასწრების უფლება მხოლოდ სხდომის ბოლოს მისცა. აზიის სარდლობის სახელით ომის თავ-თავის თეატრებზე ვითარების შესახებ მაუნტბეტენი და სტილველი პატაკობდნენ. კაიროს კონფერენციის მონაწილეთა მომდევნო სხდომებზე ჩინეთთან დაკავშირებით შემუშავებული გეგმების დეტალები ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, თუმცა ძირითადი ხაზი მთლიანობაში ნათლად იკვეთებოდა. ჩანს სახმელეთო ოპერაციებში ბირმაში იმ შემთხვევაში უნდა შეეტანა ძირითადი წვლილი, თუ მოკავშირეები განახორციელებდნენ დაპირებულ ფართო ამფიბიურ ოპერაციას ბენგალის ყურეში. ჩერჩილი ამასთან დაკავშირებით ვალდებულების აღების წინააღმდეგი იყო, რადგანაც შეიძლებოდა ამას ხმელთაშუაზღვისპირეთში მისი ძირითადი ჩანაფიქრის განხორციელებისთვის საფრთხე შეექმნა. რუზველტი უფრთხოდა ამგვარ ვალდებულებას: ერთი მხრივ, სრუტის გავლით სადესანტო ოპერაციის პირველი რიგის მნიშვნელობის გამო, მეორე მხრივ — იმიტომ, რომ მიაჩნდა, რომ ჩინელები აყოვნებდნენ ომში აქტიურად ჩაბმას, მოკავშირეებს არ შეუსრულებიათ ჩუნცინისთვის მიცემული დაპირებები, ხალხისთვის წარსადგენად ჩანს აქტივში კაიროს კონფერენციაზე მიღებული რაიმე სარგებელი მაინც უნდა ჰქონოდა. ჩერჩილი მტკიცედ იდგა თავისაზე, ჩანი ყოყმანობდა, რუზველტი შუამავლობდა.

„ყველაფერი კარგადაა“, — წერდა პრეზიდენტი მეუღლეს, მაგრამ ამაშიც კი იყო რაღაც გადაჭარბება. ჩანი კაიროდან რუზველტის ბუნდოვანი დაპირებებით გაემგზავრა, ეს დაპირებები ბენგალის ყურეში ამფიბიურ ოპერაციასა და გაურკვეველ მომავალში 90 ჩინური დივიზიისთვის სამხედრო ტექნიკის მოწოდებებს ეხებოდა. დასავლეთის სტრატეგია კვლავაც ორაზროვანი რჩებოდა. ინგლისი, რომელმაც საზეიმოდ გამოაცხადა, რომ მხარს უჭერდა შეტევით ოპერაციას საფრანგეთში, ახლა ცდილობდა თავი აერიდებინა ამისთვის. ჩერჩილი ამბობდა, რომ „ოვერლორდი“ (სადესანტო ოპერაცია სრუტის გავლით) პრიორიტეტად რჩებოდა, თუმცა ის იმდენად „ტირანული“ არ უნდა ყოფილიყო, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში რიგი შესაძლებლობების გამოყენება გამორიცხული გამხდარიყო. ამერიკელები, როგორც ყოველთვის, ძალთა დაქსაქსვის წინააღმდეგები იყვნენ — კინგი წყნარი ოკეანის საომარ თეატრზე დიდი რაოდენობით ჯარების გადასროლას მოითხოვდა. ერთი წლის განმავლობაში გამუდმებით მიმდინარე კონფერენციებზე ინგლისელებმა და ამერიკელებმა ვერა და ვერ მიაღწიეს თანხმობას დიდ სტრატეგიასთან დაკავშირებით. ყველა ამ მოუგვარებელი საკითხის მიუხედავად, ჩერჩილს არასდროს ენახა რუზველტი იმაზე უფრო ბედნიერი, ვიდრე ის იყო მადლიერების დღის სადილზე, რომელიც რუზველტმა პრემიერისა და მისი ქალიშვილის სარას, აგრეთვე, უახლოესი თანაშემწეების პატივსაცემად გამართა.

**(გაგრძელება იქნება).**

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 141-144, 148-149, 151.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 153, კვირა, 4 ივლისი, 2004 წელი.

# 10 ათას ლტოლვილს ქოლერა და მალარია ემუქრება



**გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, რომ სუდანის ხელისუფლება დაპირდა მას „აღმოფხვრას ყველა დაბრკოლება“ დარფურში არსებული ჰუმანური კრიზისიდან თავის დასაღწევად.**

ანანი ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა რეგიონიდან, სადაც მოინახულა დარფურიდან დევნილთა ბანაკი.

გაეროს გენერალურმა მდივანმა მოუწოდა სუდანს განაიარაღოს არაბი სახალხო მოლაშქრეები, რომლებიც ატერორებენ ადგილობრივ მოსახლეობას.

გაერო აცხადებს, რომ ათი ათასობით ლტოლვილი შესაძლოა დაიღუპოს შიმშილისა და დაავადებებისგან, თუ დროულად ვერ მოხერხდება მათი დაბრუნება მშობლიურ კერებში. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სულ ცოტა 10 ათას ლტოლვილს ემუქრება ქოლერით, მალარიითა და დიზენტერიით დაავადების საფრთხე, რომელთა გავრცელებასაც ხელს უწყობს ივლისში დაწყებული წვიმების სეზონი.

დარფურის რეგიონიდან დაახლოებით მილიონი კაცი აიყარა. კონფლიქტმა უკვე შეიწირა სულ ცოტა 10 ათასი ადამიანის სიცოცხლე. არაბ სახალხო მოლაშქრეებს „ეთნიკურ წმენდაში“ ადანაშაულებენ.

15 ივლისისათვის დანიშნულია მოლაპარაკება დარფურში დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებს შორის, რომელიც ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში გაიმართება.

ანანმა მოუწოდა სუდანის პრემიერს ომარ ბაშირს, რაც შეიძლება სწრაფად განაიარაღოს არაბი სახალხო მოლაშქრეები და დაეხმაროს ლტოლვილებს მშობლიურ კერებში დაბრუნებაში.

როგორც ანანმა თქვა, სუდანის პრემიერი დაპირდა მას, რომ გაერკვეოდა ამ საკითხში და მალე გამოაქვეყნებს გაეროსთან შეთანხმებულ განცხადებას.

დარფურში გაგზავნიან ექვსი ათას ჯარისკაცსა და პოლიციელს უშიშროების უზრუნველყოფისათვის, თუმცა მათი გაგზავნის ვადები ჯერჯერობით არ არის დადგენილი, – აღნიშნა სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მიმდინარე კვირას სუდანში იმყოფებოდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი. მან ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ სუდანში ძალადობის გაგრძელების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული გაეროს უშიშროების საბჭოს ჩარევა.

როგორც პაუერმა თქვა, სუდანის მთავრობამ „უახლოესი რამდენიმე დღის ან ერთი კვირის განმავლობაში უნდა მიიღოს სათანადო ზომები“.

სუდანის ოფიციალური პირები უარყოფენ, რომ მხარს უჭერენ არაბ სახალხო მოლაშქრეებს.

# უკრაინის ოპოზიციის ლიდერს პრეზიდენტობა სურს

**უკრაინის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ვიქტორ იუშჩენკომ შექმნა კოალიცია პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისთვის, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა გაიმართოს.**

იუშჩენკომ, რომელიც, სოციოლოგთა მონაცემებით ითვლება უკრაინაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად და უმაღლესი თანამდებობის დაკავების ყველაზე სავარაუდო კანდიდატად, გაინაღდა მეორე ოპოზიციონერი პოლიტიკოსის – იულია ტიმოშენკოს მხარდაჭერა, რომელიც სათავეში უდგას ერთ-ერთ პოლიტიკურ ბლოკს. ამ ორივე პოლიტიკოსმა ერთად შექმნა კოალიცია, რომელსაც ეწოდება „ხალხის ძალა“.

იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს მიერ პარასკევს ხელმოწერილ დეკლარაციაში, არსებითად პირველადაა ჩამოყალიბებული იუშჩენკოს წინასაარჩევნო პროგრამის ძირითადი დებულებები, რომლის მთავარ კონკურენტადაც მიიჩნევენ ამჟამად მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენელს – უკრაინის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ იანუკოვიჩს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, იუშჩენკო პოპულარობის მხრივ იანუკოვიჩს დაახლოებით 10 პროცენტით უსწრებს. თუმცა ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ არჩევნების მეორე ტურში იანუკოვიჩმა, რომელიც სარგებლობს ხელისუფლებისა და აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებთა ნაწილის მხარდაჭერით, შესძლოს ღირსეული იუშჩენკოსთვის კონკურენციის გაწევა.

თავიანთ განცხადებაში იუშჩენკო და ტიმოშენკო პირდებიან ამომრჩევლებს, რომ ერთი წლის განმავლობაში აღმოფხვრიან მოქმედი ხელისუფლების მუშაობის ყველა ნეგატიურ შედეგს, რომლის საქმიანობასაც ისინი ქვეყნისათვის დამღუპველად მიიჩნევენ. ორი წლის განმავლობაში ისინი აპირებენ შექმნან ძირითადი წანამძღვრები უკრაინის განვითარებისათვის, ხუთ წელიწადში კი – უკრაინაში ცხოვრების დონე ევროპულს გაუტოლონ.

„უკრაინას სჭირდება გარდაქმნები – ეს აშკარაა. ამას თვალნათლივ ხედავს ყველა ის ადამიანი, რომლებიც წარმოადგენენ როგორც პოლიტიკურ, ისე ბიზნესის წრეებს“, – თქვა დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ვიქტორ იუშჩენკომ.

მანამდე კი მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის ნატოს და ეუთოს წარმომადგენლები, არაერთგზის მოუწოდებდნენ უკრაინის მთავრობას ყველაფერი ეღონა საიმისოდ, რომ უზრუნველეყო ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნების სამართლიან და დემოკრატიულ პირობებში გამართვა.

უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტის – ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ არაერთგზის გამოუთქვამთ ბრალდებები დემოკრატიული ნორმების დარღვევის, პოლიტიკური ოპონენტების შევიწროებისა და პრესის თავისუფლების დათრგუნვის გამო. უკრაინის პრეზიდენტი უარყოფდა ყველა ამ ბრალდებას და აცხადებდა, რომ მუდამ ერთგულობდა ევროპაში საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს.

ლეონიდ კუჩმა უკრაინას ხელმძღვანელობს 1994 წლიდან. მას არაერთგზის აღუნიშნავს, რომ კენჭს აღარ იყრიდა პრეზიდენტის თანამდებობაზე იმის მიუხედავადაც კი, რომ უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ ოფიციალურად დართო კუჩმას ამის ნება.



# ერაყში ნაპოვნი საბრძოლო გაზი უკვე გამოუსადეგარია



**პოლონეთის თავდაცვის სამინისტრო ამტკიცებს, რომ პოლონელმა სამხედროებმა ერაყში აღკვეთეს მოთარეშეების მცდელობა, შეესყიდათ ნერვულ-პარალიზური გაზის შემცველი ქობინები, თუმცა ამერიკელები აცხადებენ, რომ გაზმა უკვე დაკარგა ძალა.**

პოლონეთის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მისმა ხელქვეითებმა გაააქტიურეს ძებნა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ნერვულ-პარალიზური გაზის შემცველი ქობინებისათვის გარკვეული პირები მზად იყვნენ გადაეხადათ 5-5 ათასი დოლარი.

როგორც გენერალმა მარეკ დუკაჩევსკიმ თქვა, ასეთი იარაღის გამოყენებას შესაძლოა უმძიმესი შედეგი მოჰყვეს.

როგორც ცნობილია, პოლონელმა სამხედროებმა ივნისში ერაყში იპოვეს გასული საუკუნის 80-იან წლებში დამზადებული საბჭოური რაკეტების სისტემების 17 ქობინი. პოლონელ სამხედროთა მტკიცებით, ეს ქობინები შეიცავდნენ ციკლოზარინს, გაზს, რომელიც ზარინზე უფრო საშიშია.

თავის მხრივ, ამერიკელებმა განაცხადეს, რომ მხოლოდ ორ რაკეტაში აღმოჩნდა ზარინი, თანაც, მცირე რაოდენობით. გარდა ამისა, გაზს დაკარგული ჰქონდა საბრძოლო თვისებები. ამიტომ ნაპოვნი საბრძოლო მასალა პრაქტიკულად არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა. პოლონელი სამხედროების მიერ ნაპოვნი კიდევ 16 რაკეტა ცარიელი იყო, მათში ვერ აღმოაჩინეს ვერანაირი ქიმიური იარაღი.

დუკაჩევსკის თქმით, მოთარეშეები მიმდინარე წლის ივნისში ცდილობდნენ ამ ქობინების შესყიდვას. „ჩვენ გავოგნდით, როცა შევიტყვეთ, რომ მოთარეშეები დაინტერესებული იყვნენ ასეთი ქობინების შეძენით და თითოეული მათგანისთვის 5 ათასი დოლარის გადახდას აპირებდნენ. ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ საიმისოდ, რომ ხელში ჩაგვეგდო ეს საბრძოლო მასალა“, – აღნიშნა პოლონელმა გენერალმა.

დუკაჩევსკიმ თქვა, რომ ქობინები ინახებოდა მიწისქვეშა საცავში, რათა ისინი ვერ ეპოვნათ გაეროს ინსპექტორებს, თუმცა ამ საცავის ადგილმდებარეობა დუკაჩევსკის არ დაუდასტურებია.

XX საუკუნის 80-იან წლებში ერაყში უშვებდნენ ციკლოზარინს, რომელსაც იყენებდნენ ირანის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში. მაგრამ 1991 წელს სპარსეთის ყურეში ომის დასრულების შემდეგ, გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც ერაყს უნდა გაენადგურებინა ამ გაზის მარაგი და შეეწყვიტა მისი წარმოება.

მოგვიანებით, გაეროს ინსპექტორების მიერ განხორციელებული შემოწმებების მონაცემების საფუძველზე, შეერთებულმა შტატებმა ერაყი დაადანაშაულა იმაში, რომ ქვეყანაში დარჩა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი. ეს გახდა კიდეც 2003 წელს ერაყის წინააღმდეგ საომარი ოპერაციის დაწყების ერთ-ერთი საბაბი.

2004 წლის მაისში საარტილერიო ჭურვი, რომელიც, ზოგიერთი მონაცემით, შეიცავდა ზარინს, აფეთქდა ბაღდადის მახლობლად გამავალ ერთ-ერთ გზაზე, თუმცა მაშინ სერიოზულად არავინ დაშავებულა.

# მოკლედ

**ისლამისტები** ევროპას ახალი ტერორისტული აქტებით ემუქრებიან, თუ, ევროპის ქვეყნები არ გამოიყვანენ ჯარებს ერაყიდან. „აბუ ჰაფს ალ-მასრის ბრიგადის“ დაჯგუფების წევრთა განცხადება გამოაქვეყნა ლონდონში გამომავალმა არაბულმა გაზეთმა „აშარქ ალ-ავსათმა“. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „ალ-ქაიდამ“ 2004 წლის 15 აპრილს ცალმხრივი წესით შეწყვიტა თავდასხმები ევროპის ქვეყნებზე. ამ სამთვიანი „ზავის“ ვადა 15 ივლისს იწურება, რის შემდეგაც „ალ-ქაიდა“ კვლავ განაახლებს ტერაქტებს ევროპის ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ ამ სახელმწიფოთა ლიდერნი არ გამოიყვანენ ერაყიდან თავიანთ საჯარისო კონტინგენტებს.

* * *

**კანზას-სიტში** ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა ქარხნის კაფეში



ადამიანები დახოცა. შეიარაღებული კაცი შევიდა ხორცის გადამმუშავებელი საწარმოს სასადილოში და ცეცხლი გაუხსნა იქ მყოფთ. თავდამსხმელმა მოკლა ხუთი ადამიანი, რის შემდეგაც თავი მოიკლა. კიდევ ოთხი მძიმედ დაჭრილი კაცი ჰოსპიტალში მოათავსეს.

* * *

**ლიტვის** საარჩევნო კომისიამ დაადასტურა პრეზიდენტის არჩევნებში ვალდას ადამკუსის გამარჯვება. 77 წლის ადამკუსმა თავის მეტოქესთან – ლიტვის ექს-პრემიერ კაზიმირა დანუტე პრუნსკენესთან შედარებით 72 ათასი ხმით მეტი მიიღო. ადამკუსს ხმა მისცა ამომრჩეველთა 51,87 პროცენტმა, პრუნსკენეს კი – 44,69 პროცენტმა. პრეზიდენტის ინაუგურაცია 12 ივლისს გაიმართება.

* * *

**ერაყელმა** მოთარეშეებმა გაათავისუფლეს პაკისტანელი ამჯად ჰაფიზი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ აიყვანეს მძევლად. როგორც ჰაფიზის ბიძამ განაცხადა, მისმა ძმისწულმა ტელეფონით შეატყობინა ოჯახის წევრებს, რომ იგი გაათავისუფლეს.

* * *

**ნიდერლანდის** მთავრობამ მხარი დაუჭირა წინადადებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სექს-ინდუსტრიაში დასაქმებული ქალების შრომის პირობების გაუმჯობესებას.



ამ წინადადებების თანახმად, საროსკიპოებს და სხვა მსგავს დაწესებულებებს, რომლებშიც ეწევიან „შრომით საქმიანობას“ მეძავები, ამიერიდან მიენიჭებათ სპეციალური ხარისხის ნიშანი, თუ ისინი დააკმაყოფილებენ უსაფრთხოების ყველა მოთხოვნას.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**ზაზა ბეჟანიძემ.**

# სპორტი

ევრო – 2004

# დღეს ფინალია

**შეუმჩნევლად ამოიწურა „ევრო – 2004“-ის პროგრამა – დღეს ლისაბონში კონტინენტის საფეხბურთო ფორუმს დაასრულებენ ისინი, ვისაც 12 ივნისს მისი გახსნის პატივი ხვდა წილად – პორტუგალია და საბერძნეთი. ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ნებისმიერ შემთხვევაში „ძველ სამყაროს“ ახალი გვირგვინოსანი ეყოლება – ეს ტურნირი უწინ არც ერთ დღევანდელ ფინალისტს არ მოუგია.**

მასპინძლები გადამწყვეტ რაუნდს სრულ მზადყოფნაში ხვდებიან – გუნდის კაპიტან ფიგუს თავკაცობით, რომელმაც იმავდროულად „რეალის“ შერცხვენილ ვარსკვლავებს უნდა მოწმინდოს ნამუსი, ყველანი მწყობრში არიან და რევანშთან ერთად თავიანთი პირველი ტიტულის მოსაპოვებლად, რომ იტყვიან, მინდორზე ძვლებს დადებენ. საკუთარი სარეკორდო ზრახვები აქვს პირენეელთა ბრაზილიელ მოძღვარს ლუის ფელიპე სკოლარისაც – სხვადასხვა კონტინენტის გუნდებთან მუშაობისას მის არც ერთ კოლეგას არ შეუსრულებია დღემდე „დუბლი“.

მეტოქისგან განსხვავებით, სერიოზული დანაკლისი აქვთ ელადელებს – დისკვალიფიკაციის გამო დღეს ვერ ითამაშებს წამყვანი ნახევარმცველი, ევროპის ჩემპიონატზე გატანილი პირველი გოლის ავტორი კარაგუნისი, თუმცა, დარწმუნებულნი ვართ, სტუმართა „ჯადოქარი“ მწვრთნელი, გერმანელი ოტო რეჰაგელი გამოსავალს ამ სიტუაციიდანაც მოძებნის.

დავძენთ, რომ ბოლო აკორდს მისი თანამემამულე მარკუს მერკი გაუძღვება.



**წინა „ევროების“ ფინალები**

1960. საბჭოთა კავშირი – იუგოსლავია 2:1.

1964. ესპანეთი – საბჭოთა კავშირი 2:1.

1968. იტალია – იუგოსლავია 2:0.

1972. გფრ – საბჭოთა კავშირი 3:0.

1976. ჩეხოსლოვაკია – გფრ 2:2 (პენ. 5:4).

1980. გფრ – ბელგია 2:1.

1984. საფრანგეთი – ესპანეთი 2:0.

1988. ჰოლანდია – საბჭოთა კავშირი 2:0.

1992. დანია – გერმანია 2:0.

1996. გერმანია – ჩეხეთი 2:1.

2000. საფრანგეთი – იტალია 2:1.

2004. პორტუგალია – საბერძნეთი ?





**სურათებზე: პორტუგალიელთა კაპიტანმა ლუიშ ფიგუმ ნახევარფინალში – პორტუგალია-ჰოლანდია – თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა. საბერძნეთი-ჩეხეთი – 115+1 წუთი, ტრაიანოს დელასის გოლმა საბერძნეთის ნაკრები ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა.**

ვარსკვლავი

# გრანდებსაც მოუსინჯა კბილი

**ვიღას არ ადარებენ: ბექჰემს (სწორედ მისი მეშვიდე ნომრით გამოდის ახლა „მანჩესტერ იუნაიტედში“), ფიგუსაც, რომლის მხარდამხარ თამაშობს ნაკრებში, ფორვარდ სეხნიას მადრიდის „რეალიდან“. თვით რონალდოს კი მრავალჯერ განუცხადებია: „არ მინდა, რომ ვინმეს ვგავდეო“.**

ყრმობა კუნძულ მადეირას (პირველაღმომჩენებმა წაბლისა და დაფნის უზარმაზარი ხეები რომ ნახეს, გაოცებულებმა წამოიძახეს: „მადეირა“, რაც „ტყეს“ ნიშნავს), მზით სავსე მინდვრებზე გაატარა, შვიდი წლიდან იქაურ „ნასიონალში“ თამაშობდა, პორტუგალიის ამ პროვინციიდან თინეიჯერი რონალდო (მშობლებმა ეს სახელი ამერიკის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის პატივსაცემად დაარქვეს) ლისაბონის „სპორტინგის“ საფეხბურთო სკოლაში აღმოჩნდა.



15 წლისამ პირველად ითამაშა პორტუგალიის ჭაბუკთა ნაკრებში, 17-სამ – „სპორტინგის“ შემადგენლობაში, 18-ისა კი ქვეყნის მთავარი გუნდის შემადგენლობაში მიიწვიეს. ყაზახებთან მატჩში „მასპინძელთა თითქმის ყველა შეტევა მეორე ტაიმში მინდორზე გამოჩენილ რონალდოთი იწყებოდა“, – წერდნენ გაზეთები, 18 წლის ყმაწვილისთვის კარგი დებიუტი იყო. იგი რომ აუცილებლად მოუმატებდა თამაშს, არავის აეჭვებოდა. და ეს „ევრო-2004“-ში ნათლად გამოჩნდა. ჯერ მარტო ჰოლანდიელებთან მის მიერ გატანილი გოლი ხომ „უმაღლეს პილოტაჟს“ განეკუთვნება. რონალდოს უნივერსალურ ფეხბურთელად ჩამოყალიბებისა ყველაზე მეტად „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს სჯერა. ამასთან, ქალების გულმხიბლავიც იქნება, ამისი საწინდარი ბრაზილიელ ტოპმოდელ ჟორდანო ქარდელთან რომანი გახლავთ. რაც შეეხება დიდკბილება სეხნიას, მას უბრალოდ გაუმართლა, რომ 10 წლით ადრე დაიბადა, თორემ „რონალდოს“ დაფნას კრიშტიანს მიაკუთვნებდნენ. „რეალის“ ფორვარდს კი თავისი უგრძესი სახელიდან სხვა სიტყვის არჩევა მოუხდებოდა და მას ახლა მოიხსენიებდნენ, მაგალითად, ლუისად...

* * *

**კრიშტიან რონალდო დაიბადა 1985 წლის 5 თებერვალს. ნახევარმცველია. კლუბები: ლისაბონის „სპორტინგი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“.**

„სპორტინგიდან“ მანჩესტერში გადასვლისთანავე საერთო ყურადღება მიიპყრო. შარშან აგვისტოში ინგლისურმა კლუბმა იგი 20 მილიონ დოლარად შეიძინა – პორტუგალიელს მადრიდის „რეალში“ გადასული დევიდ ბექჰემის როლი უნდა ეტვირთა. „მანჩესტერის“ მწვრთნელთა შტაბი ადრეც გულდაგულ აკვირდებოდა რონალდოს ტალანტის განვითარებას, სერ ალექს ფერგიუსონმა კი საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება ამ შემტევი ნახევარმცველის შესაძენად...

„ევრო-2004“-ის დაწყებამდე რონალდომ პორტუგალიის ნაკრებში ნათამაშევი 8 მატჩში 1 გოლი გაიტანა. დღეს მისი პირველი სანაკრებო ფინალია.

**უშანგ ჭიჭინაძე.**

ყოველი მხრიდან

## ფეხბურთის ბილეთი პისტოლეტზე

**ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონს – ბრაზილიის ნაკრებს სურს მატჩის გამართვა ჰაიტიზე, სტადიონზე შესასვლელი ბილეთები კი იარაღზე გაიცვლება.**

ჯერჯერობით მატჩი დანიშნულია 18 აგვისტოსთვის. როგორც იტყობინებიან, შეხვედრაზე დასწრებას აპირებს ბრაზილიის პრეზიდენტი ლუიშ იგნასიო და სილვა.

მატჩის ბილეთებზე იარაღის გაცვლა კი ერთი კვირით ადრე დაიწყება.

როგორც ბრაზილიის სპორტის მინისტრმა განაცხადა, ჰაიტის ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს ბევრი ცნობილი ფეხბურთელი, მათ შორის როლანდო და როლანდინიო; თავად მატჩმა კი ხელი უნდა შეუწყოს თებერვლის აჯანყების შემდეგ ამ ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას.



შეხვედრის ინიციატორია ჰაიტის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი ჟერარ ლიატორტიუ, რომლის თქმითაც, რამდენიმე ბრაზილიელ ფეხბურთელს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია მტრულად განწყობილი მოლაშქრეების განიარაღების თვალსაზრისით, ვიდრე ათასობით ჯარისკაცს.

ფეხბურთი ძალზე პოპულარულია ჰაიტიში, ხოლო მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი – ბრაზილიის ნაკრები ყველაზე საყვარელი უცხოური გუნდია კუნძულზე.

თუმცა, თავად ფეხბურთი ამ ღარიბეს ქვეყანაში საცოდავ მდგომარეობაშია. ცენტრალური სტადიონი ისეა დანგრეული, რომ ფიფამ აკრძალა იქ ოფიციალური მატჩების გამართვა.

უნდა ითქვას, რომ ბრაზილიურ ფეხბურთს პირველად როდი იყენებენ მშვიდობისმყოფლობის მიზნით.

მაგალითად, პელეს ხშირად მიაწერენ ადგილობრივი შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტას აფრიკაში, „შავ კონტინენტზე“ მისი კლუბის „სანტუსის“ გამოსვლის შემდეგ.

ყოფილი ბელგიის კონგოს აჯანყებულებმა იარაღი დაყარეს „სანტუსის“ მატჩების დროს, ხოლო ბრაზილიელების გამგზავრების შემდეგ საომარი მოქმედებანი განახლდა.

ჰაიტიში გადატრიალების შემდეგ ბრაზილიამ შესთავაზა იქ 1200 ჯარისკაცის გაგზავნა, რაც კონტინენტის ისტორიაში მშვიდობისმყოფელთა მისიებში ყველაზე დიდი კონტინგენტი იყო.

ამასთან, ჰაიტიში გაგზავნეს ათასზე მეტი ბურთი და მაისური. ალბათ, ბრაზილიაში მიაჩნიათ, რომ მშვიდობის აღდგენისათვის ფეხბურთის ბურთები ხიშტებზე და ავტომატებზე ნაკლებ ქმედითუნარიანი არ არის.

## „ღარიბი“ ივლისი

**თითქოს ივლისის თვე ერთობ „ღარიბია“ მოკრივეთა შერკინებებით. მხოლოდ ხუთიოდე მატჩია, კრივის მოყვარულთა ყურადღებას რომ დაიმსახურებს. მაგრამ ერთი მათგანი, ალბათ, ისეთი უნდა გამოდგეს, ამ თვისასაც და სხვა თვეების ბევრ შეხვედრას რომ გადასწონის. დიდ რინგზე მაიკ ტაისონის დაბრუნებას ვგულისხმობთ.**



30 ივლისს ლუისვილში (აშშ, კენტუკი) უნდა გაიმართოს „რკინის მაიკის“ ორთაბრძოლა დიდბრიტანელ დანი უილიამსთან. როგორც თავად პარტნიორის შერჩევაც მოწმობს, ტაისონს რაღაც დიდი სერიოზული სამომავლო გეგმები აქვს. იქნება სულ მალე ჩემპიონის ტიტულისათვის უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთანაც იბრძოლოს.

იქამდე კი მოკრივეთა კიდევ ორი ასპარეზობაა დაგეგმილი.

17 ივლისს ტეხასის შტატის ჰიუსტონში მონღოლი ლაკვა სიმი WBA ვერსიით 61,2 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ახლახან მოპოვებულ ჩემპიონობას დაიცავს ამერიკელ ხუან დიასთან, ხოლო 24 ივლისს, ატლანტიკ-სიტიში WBC ვერსიით 63,5 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში თავისი ჩემპიონობის დაცვა მოუწევს კანადელ არტურო გატის რუმინელ-კანადელ (?) ლეონარდო დორინთან.

31 ივლისს კი ორი დიდი ორთაბრძოლა გაიმართება. ჯერ 69 კილოგრამამდე კატეგორიაში ერთმანეთს შეებრძოლებიან WBC ვერსიით ჩემპიონი ერიკ მორალესი (მექსიკა) და IBF ვერსიით ჩემპიონი კარლოს ერნანდესი. შემდეგ კი რინგზე შეხვდებიან მექსიკელები რაფაელ მარკესი და ერიბერტო რუისი. აქ მარკესი IBF ვერსიით ჩემპიონობას დაიცავს 53.5 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. ამბობენ, რომ მექსიკელები ერთმანეთს არ დაინდობენო.

## სტრიპტიზი კორტზე

**უიმბლდონის ტურნირის ფინალში გასვლით 17 წლის მომხიბვლელმა ციმბირელმა ქალიშვილმა – მარია შარაპოვამ მთელი საზღვარგარეთული პრესა აალაპარაკა. ბრიტანულმა გაზეთებმა მთელი გვერდები დაუთმეს რუსეთელი ლამაზმანი ჩოგბურთელის უზარმაზარ ფოტოსურათებს.**



ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, თუ ჩვენს პლანეტაზე ვინ უფრო სექსუალური ჩოგბურთელია – ანა კურნიკოვა თუ მარია შარაპოვა, როგორც ჩანს, სასწორი თანდათან მარიასაკენ იხრება. როგორც „ინდეჰენდენტი“ წერს „შარაპოვა“ ნაკლებად მიმზიდველი როდია, ვიდრე კურნიკოვა, თანაც ის გაცილებით, უკეთესად თამაშობს ჩოგბურთს“.

სწორედ ასეთი „დავის“ დროს ამოტივტივდა უიმბლდონის ტურნირის ერთი პიკანტური ისტორია: მაშინ, როდესაც ბრიტანეთის ნორჩი ამომავალი ვარსკვლავი მაილს კასილი ახალზელანდიელ უილიამ უარდომს ეთამაშებოდა, მე-19 კორტზე გამოვარდა წელსზევით გაშიშვლებული ქალიშვილი. ფოტოკამერების წინ რომ წაიკეკლუცა, წესრიგის დამცველებმა სასწრაფოდ გააშორებს იქაურობას. როგორც გამოირკვა, სტრიპტიზი მოაწყო 25 წლის ნაომი მაკდონალდმა.

◉ წარსულის ფურცლები

# რეკორდსმენი, ღვიძლი ძმა მხედართმთავრისა

**მინდა მოგითხროთ არტილერისტ ლესელიძეთა სახელგანთქმული ოჯახის ყველაზე უმცროსი ძმის ვალერიანის შესახებ, რომელსაც შინაურობაში შუტუს ეძახდნენ. ოთხივე ძმა ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების მონაწილეთა შორის იყო, ოთხივე სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებდათ: მზადყოფნა თავდაუზოგავად შებმოდნენ, მუხანათურად შემოჭრილ ვერაგ და მრისხანე მტერს. „ძმები ლესელიძეების გმირობა ცხრა ძმა ხერხეულიძესთან, სამას არაგველთან და სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად ლეგენდად გაყვება საუკუნეებს“, – წერს მიხეილ დავითაშვილი წიგნში „ლესელიძე“...**

**რამდენიმე წლით დავბრუნდეთ წარსულში.**

სპორტი თავიდანვე იტაცებდა ხვარბეთელ ახალგაზრდას – ფეხბურთი, ტანვარჯიში, ძალოსნობა. ერთხანს ფეხბურთსა და ტანვარჯიშში რაიონის გუნდებში გამოდიოდა, მაგრამ საბოლოო არჩევანი ძალოსნობაზე შეაჩერა – ტანდაბალმა, დაკუნთულმა ყმაწვილმა სპორტში ლითონთან შერკინება თავის მოწოდებად მიიჩნია.

დაიწყო ფიცარნაგზე ლესელიძის გვარის წარმოჩენა სოხუმში, თუ მახარაძეში, საქართველოს დედაქალაქ თბილისში სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობამ და მიღწეულმა შედეგებმა კი თანდათან თვალსაჩინო გახადეს ვალერიან ლესელიძის სახელი. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტი რეკორდს რეკორდზე აუმჯობესებდა, ძირითადად, ცალი ხელით მოძრაობებში. განსაკუთრებით წინსვლა დაეტყო სტუდენტობის წლებში. აფხაზეთში მას თავის წონაში ბადალი არ ჰყავდა და, ბუნებრივია, აფხაზეთის ნაკრებში ადგილი გარანტირებული ჰქონდა. გაზეთი „ფიზკულტურელი“ 1937 წლის ერთ-ერთ ნომერში იტყობინებოდა, რომ სოხუმში საქალაქო შეჯიბრებაზე დამყარდა აფხაზეთის ექვსი რეკორდი. შეჯიბრებაზე შესანიშნავი შედეგი აჩვენა უმჩატესი წონის სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტმა ლესელიძემ, რომელმაც მარჯვენა ხელით აჰკრა 49,8 კილოგრამიო.

წლის შედეგების მიხედვით უმჩატესი წონის ძალოსანთა შორის ვალერიან ლესელიძე საქართველოში უძლიერეს ოთხეულში შევიდა.

განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ვალერიანმა მომდევნო 1938 წელს. ჯერ იყო და, წლის დასაწყისში გამართულ შეჯიბრებაზე პირველთანრიგოსანმა ვ. ლესელიძემ კლასიკურ სამჭიდში 223 კგ მოაგროვა და საგრძნობლად (8 კილოგრამით) გააუმჯობესა პირადი რეკორდი თავის (უმჩატეს) წონაში, შემდეგ კი ამავე შეჯიბრებაზე მარცხენა ხელით აიტაცა 51,2 კილოგრამი, რითაც პასიკოვის მიერ 1935 წელს დამყარებულ საქართველოს რეკორდს „წირვა“ გამოუყვანა – თავად გახდა რეკორდის მფლობელი. ამ ზღვარზეც არ შეჩერებულა: ოქტომბრის ბოლოს საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაზე, როგორც გაზეთი „ფიზკულტურელი“ იუწყებოდა, საქართველოს რეკორდებში პირველი შესწორება შეუტანია სწორედ ვ. ლესელიძეს, რომელიც ამ შეჯიბრებაზე სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ სახელით ასპარეზობდა მახარაძის რაიონიდან. მან მარცხენა ხელით აიტაცა 52,5 კილოგრამი და კიდევ უფრო გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი.

ამავე ჩემპიონატზე ვ. ლესელიძემ და მისმა თანაგუნდელებმა გუნდური წარმატებაც იზეიმეს: მახარაძის რაიონმა მეორე ჯგუფის მონაწილეთა გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

მახარაძელი ძალოსნები ამ შეჯიბრებისთვის თავიანთი ლიდერის ვალერიან ლესელიძის ხელმძღვანელობით ემზადებოდნენ. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ გ. თოხაძე, დ. კუჭუხიძე, შ. ხურციძე, ვ. დუმბაძე, დ. ხვინგია. მათგან აღსანიშნავია გიორგი (ქორა) თოხაძის გამორჩეული წარმატება თავისი წონის ათლეტთა პაექრობაში. ამ უნივერსალურმა სპორტსმენმა (იგი დიდი წარმატებით გამოდიოდა ფეხბურთის ნაკრებშიც) სამჭიდის ჯამში 230 კილოგრამი მოაგროვა და მხოლოდ სახელგანთქმულ მ. კასიანიკს და საქართველოში ცნობილ პ. გუმაშიანს ჩამორჩა.

მშობლიურ რაიონში აგრონომის დიპლომით დაბრუნებული ვალერიანი გარკვეული ხნის შემდეგ რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნა. იგი თანდათან ორგანიზაციული საქმიანობით დაიტვირთა, რამაც, ცხადია, პირად სპორტულ მაჩვენებლებზე იქონია გავლენა.

... დაიწყო დიდი სამამულო ომი და აგრონომი ვალერიან ლესელიძე, საუკეთესო სპორტსმენი, მოქმედ არმიაში აღმოჩნდა.

ქერჩის ბრძოლებში მძიმედ დაჭრილი ვ. ლესელიძე რამდენიმე თვის შემდეგ სამხედრო ჰოსპიტლიდან ისევ ფრონტის წინა ხაზს დაბრუნებია, მაგრამ...

ლესელიძეთა ოჯახში პირველი შავი ბარათი ვალერიანის დაღუპვის საზარელ ამბავს იტყობინებოდა. ფაშიზმთან ომს შეეწირა სხვა ორი ძმაც, ორივე საბჭოთა კავშირის გმირი – სახელგანთქმული მხედართმთავარი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე და პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ლესელიძე. საქართველოში ლესელიძეთა ოჯახი თურმე ერთადერთია, რომელმაც ქვეყანას ორი გმირი ძმა აღუზარდა, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში მხოლოდ თერთმეტი იყოო ასეთი ოჯახი, წერდა გაზეთი „საქართველოს ვეტერანი“. ოთხიდან ერთი ძმა – დავითი დაბრუნდა ცოცხალი.

ასეთი იყო ვალერიან (შუტუ) ლესელიძე, რეკორდსმენი და მოქალაქე – ღვიძლი ძმა მხედართმთავრისა.





**გიორგი მახარაძე.**

**სურათებზე: ვალერიან (შუტუ) ლესელიძე, 1938 წ. მახარაძელ ძალოსანთა გუნდი: სხედან (მარცხნიდან) დიმიტრი (ჭიკო) კუჭუხიძე, ვალერიან (შუტუ) ლესელიძე, გიორგი (ქორა, მეტსახელად „პაჩიკა“) თოხაძე. დგანან: შიოლა ხურციძე, დავით ხვინგია, უცნობი, ვალერიან (ტოგო) დუმბაძე.**

◉ ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ლიდერობს პოლიციის პოლკოვნიკი

**ჩვენს რუბრიკაში ხშირად ვამახვილებთ ყურადღებას დიდი ბიცეპსებით დამშვენებულ ათლეტებზე. მათ შორის უძლიერესთა კუნთების გარშემოწერილობა 55 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. ახლახან დავადგინეთ, რომ ამ კომპონენტში ბადალი არ ჰყავს საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს, მეცნიერებათა დოქტორს, შსს აკადემიის პროფესორს, პოლიციის პოლკოვნიკს, ღირსების ორდენოსანს ზურაბ ჭავჭანიძეს – მისი ხელების პერიმეტრია 56 სმ. მეორე მაჩვენებელი აქვს უშიშროების სამინისტროს თანამშრომელს, კაპიტან გერონტი ჯმუხაძეს – 55,5 სმ, ხოლო მესამე – პოლიციის მაიორს ხვიჩა მამედოვს – 55 სმ.**

4 აგვისტოს აღნიშნული ტრიო პერსონალური მიწვევით აშშ-ში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მიემგზავრება. ჩვენი ქვეყნის ნაკრებში, მათ გარდა, მოხვდნენ, აგრეთვე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები პოლიციის კაპიტანი კობა ალუდაური, უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი, კაპიტანი ნიკოლოზ სარალიძე და ახალგაზრდა ოსტატი, უშიშროების ჯარების კაპრალი სერგო მერაბიშვილი. ფინანსური სიძნელეების გამო ჯერჯერობით გაურკვეველია მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის შოთა ბექაშვილის გამგზავრების საკითხი.

დღეს გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს **ზურაბ ჭავჭანიძის** შესრულებით.

**მკერდის კუნთებისთვის**

**1. წოლჭიმი საშუალო ჭიდით** (**სურ. 1**). სრულდება 6-8 მისვლა 6-6 გამეორებით.

მხრის ორთავა კუნთებისათვის

**2. შტანგის აწევა ბიცეპსებით დახრილ დაფაზე ფიქსირებული იდაყვებით** (**სურ. 2,3**). სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**3. იგივე ვარჯიში სპეციალურ ტრენაჟორზე** (**სურ. 4**). სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**ნაზი გოგიშვილი,**
**საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.**
**ავტორის ფოტო.**













◉ ყოველი მხრიდან

### „მთვრალი“ შაში

**გასულ შაბათ-კვირას მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში დამთავრდა რუსეთის ჩემპიონატი „მთვრალ“ შაშში.**

ალბათ, საჭიროა ამ თამაშის წესების შეხსენება: დაფაზე ჩვეულებრივი შავ-თეთრი ქვების ნაცვლად დგამენ თეთრი და შავი ღვინით სავსე სირჩებს, მათი გადაადგილება ჩვეულებრივი წესის მიხედვით ხდება, მეტოქის სირჩის „მოკვლისას“ მოთამაშემ ღვინო ბოლომდე უნდა შესვას. იმარჯვებს ის, ვინც უფრო სწრაფად მოიშორებს თავის „ფიგურებს“.

მძაფრი შესარჩევი თამაშების შედეგად ფინალამდე მიაღწია ოთხმა ყველაზე მაგარმა მეტოქემ. ზრუ-ს პოლკოვნიკმა სერგეიმ, თევზის მაღაზიების ქსელის მეპატრონემ სვეტლანამ, დედაქალაქის დანილოვის რაიონის მმართველობის აპარატის უფროსმა ვლადისლავმა და კინოკომპანია – „ცარ“-ის პრეზიდენტმა ალექსანდრემ. სწორედ მათ შეაბრძოლეს „სირჩები“ მთავარი პრიზისთვის.

რათა თავიდან მოეშორებინათ ერთადერთი ქალი – მეტოქე, მას



ცოცხალი „ფიგურა“ – ზანგი ჯექსონი აჩუქეს.

მეტად „ღვინისმღვრელი“ ბრძოლა გაიმართა პრიზისთვის. ნახევრად შიშველი ოფიციანტები ვერ ასწრებდნენ სირჩების ღვინით შევსებას.

პირველი ადგილისთვის ერთმანეთს შეეტაკნენ ნამდვილი პოლკოვნიკი და ნამდვილი პრეზიდენტი. უცნაურია, მაგრამ მეკინოვემ მაინც დაამარცხა გამოცდილი მზვერავი, ხოლო მთავარი პრიზი – 100 კილოგრამი კრევეტები – მიუსაფარ ბავშვებს გაუნაწილა.

### ჰომოსექსუალებს რონალდუ მოსწონთ

**ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის დღეებში ათასნაირი კონკურსები თუ გამოკითხვები ეწყობა. ერთ-ერთი მათგანის შედეგებმა აჩვენეს, რომ პორტუგალიელ ჰომოსექსუალებს ყველაზე სექსუალურ ფეხბურთელად თავიანთი ქვეყნის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ მიაჩნიათ.**

გაზეთის La Monde ცნობით, 19 წლის ფეხბურთელს ხმა მისცა გამოკითხულთა 14 პროცენტმა. რესპონდენტებმა მეორე ადგილი თავდამსხმელ ნუნუ გომიშს, ხოლო მესამე – პაულეტის მიაკუთვნეს.

ძალზე დათმო პოზიციები აქამდე უკონკურენტო ლუიშ ფიგუმ. პორტუგალიის ნაკრების კაპიტანს ხმა შეაწია გამოკითხულთა მხოლოდ 9 პროცენტმა.

ყველაზე ნაკლები ხმა – 2 პროცენტი – მიიღო ნატურალიზებულმა ბრაზილიელმა ანდერსონ დე სოუზამ, უფრო „დეკუს“ სახელით რომ ვიცნობთ.

### ყვითელი ბარათი — ფოტოკორესპონდენტებს

**ევრო-2004-ის მეოთხედფინალურ მატჩზე – პორტუგალია – ინგლისი – უეფას წარმომადგენლებმა შეამჩნიეს, რომ მინდვრის შემოგარენში 223 ფოტოკორესპონდენტი საქმიანობდა, რაც დასაშვებზე გაცილებით მეტი იყო.**

როგორც გამოირკვა, ზოგიერთი ფოტოგრაფი აგროვებდა მინდორთან უკვე შემოსულთა ბილეთებს, გაჰქონდა გარეთ და სხვა კოლეგები შემოჰყავდა, რათა ასეთი რამ აღარ განმეორდეს, ამიერიდან უეფას გადაწყვეტილებით მატჩის გადასაღებად მოსულ ფოტოკორესპონდენტებს მინდორთან მისასვლელ ბილეთებს ჩამოართმევენ.

**გეკადრებათ?**

# რუსები ფულის შოვნას კავკასიელებმა გადააჩვიეს!

**დასამალი არაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი პირდაპირ ნადირობს კავკასიელებზე. ეს ნადირობა უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთში ომი გაჩაღდა (თუმცა ეს პატარა რესპუბლიკა წელში მაინც არ გაწყდა. ამის დასტურად თუნდაც ბოლოდროინდელი ტერაქტები გამოდგება შუაგულ გროზნოშიც და შუაგულ მოსკოვშიც).**

საქართველოში 100-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. მე ვერ ვიხსენებ რომელიმე საგაზეთო პუბლიკაციას ან რომელიმე სატელევიზიო გადაცემას, სადაც ქართული ბიზნესის დაპყრობასა თუ აქაური კრიმინოგენური სიტუაციის გართულებაში ცალ-ცალკე დაგვედანაშაულებინა რომელიმე ჯიშისა თუ ჯილაგის წარმომადგენლები (თუმცა საამისო საფუძველი მოინახებოდა). აი, „კომსომოლსკაია პრავდა“ კი ახლახან თავისი ორი გაშლილი გვერდის ანშლაგშივე აქვითინდა: თურმე რუსები ფულის შოვნას გადაეჩვივნენ და ამაში ძირითადად ბრალი მიუძღვით კავკასიელებს, უპირველესად, ჩეჩნებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, ქართველებს, რომლებიც ამ ქვეყანას ძარცვავენ ბიზნესითაც და კრიმინალითაც.

დაე, ყველამ საკუთარი მკვდარი იტიროს. ჩვენ კი, ამჯერად, ქართველებზე შევჩერდეთ და ვთქვათ, — მართლა ასეა? მართლა ქართველებმა დააქციეს ეს ამხელა იმპერია?



ბოლო აღწერით მთელს რუსეთში 634.000 ქართველი ცხოვრობს და აქედან მსხვილ ბიზნესში გაზეთში დასახელებულია სულ 9 კაცი. მათ შორის, ბორის ივანიშვილი, თენგიზ ტატიშვილი, დავით იაკობაშვილი, კახა კობახიძე, ამირან კურტანიძე...

სამაგიეროდ, საქართველო ყოფილა რუსეთის ძირითადი მომმარაგებელი „კანონიერი ქურდებით“. მარტოოდენ მოსკოვს აკონტროლებსო 16 ქურდი ქუთაისიდან, 15 — აფხაზეთიდან, 10 — თბილისიდან, 4 — სამეგრელოდან... თურმე ბანკებიც მათს ხელთაა, ნარკოტიკებიც, ავტოსალონებიც, კაფეებიც, ბინებიც... მიდიი!

იმავე „კომსომოლსკაია პრავდამ“ იმავე კვირაში დაბეჭდა 100 ყველაზე მდიდარი რუსეთელის სია, რომელსაც სათავეში უდგას ამჟამად პატიმარი მიხეილ ხოდორკოვსკი — 15 მილიარდ 200 მილიონი დოლარით. ამ სიაში მხოლოდ ორი ქართველია: — ბორის ივანიშვილი — 38-ე ადგილზე (880 მილიონი დოლარით) და დავით იაკობაშვილი — 99-ე ადგილზე (210 მილიონი დოლარით). სუფთა რუსი კი იმდენია, ვერ დაითვლი: — მიხეილ პროხოროვი — მე-4 ადგილზე (5 მილიარდ 400 მილიონი დოლარით), ვლადიმერ ლისინი — მე-7 ადგილზე (4 მილიარდ 800 მილიონი დოლარით), ნიკოლოზ ცვეტკოვი — მე-17 ადგილზე (2 მილიარდი დოლარით), პლატონ ლებედევი — 22-ე ადგილზე (1 მილიარდ 800 მილიონი დოლარით), ელენა ბატურინა — 35-ე ადგილზე (1 მილიარდ 100 მილიონი დოლარით)...

აი, ამ ელენა ბატურინას მეუღლემ — მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა აჭარა მაგრად ჩაკბიჩა, ახლა კი აფხაზეთს წაეტანა. უფრო მეტიც, რუსეთმა წაიღო „თელასიც“, „აზოტიც“... ახლახან იქიდან 100 ბიზნესმენი ჩამოვიყვანეთ, ლამის მთელი საქართველო შევთავაზეთ. ჩვენ ის ხალხი არ დავვიხარისხებია ეროვნულობის ნიშნით... და არც კრიმინალებს დავახარისხებთ... სხვა თუ არაფერი, სირცხვილია ამგვარი რამ XXI საუკუნეში!

ისე, უნდა ვიცოდეთ, რომ 2003 წელს რუსეთში მოხდა 2 მილიონ 850 ათასი დანაშაული. ეს ციფრი თითქმის 10 პროცენტით აჭარბებს წინა წლის მაჩვენებლებს. ყოველ 100 ათას კაცზე გათვლით, რუსეთში ჩადენილია 20-ჯერ მეტი მკვლელობა, ვიდრე იაპონიაში, 17-ჯერ მეტი, ვიდრე გერმანიაში, 14-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში, 12-ჯერ მეტი, ვიდრე შვედეთში.

გასაგებია, რუსეთს ნამდვილად აქვს საწუხარი დანაშაულობათა ზრდის გამო, მაგრამ „კომსომოლსკაია პრავდა“, ჩემი აზრით, უფრო გონივრულად, უფრო პრაგმატულად უნდა უდგებოდეს ცხოვრებისეულ პრობლემებს. საკუთარი ცოდვების სხვა ხალხებზე გადაბრალებას ხეირი არსად მოაქვს და, ალბათ, არც რუსეთში მოიტანს...

2 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იური ლუჟკოვმა თავი დაანებოს მოპარული ფულებით აფხაზეთში ქონების შეძენასო. იქვე ითქვა, რომ მოსკოვის მერის ეკონომიკურ ინტერესებს ამ დღეებში წერტილი დაესმება აჭარაში. ასე რომ, ჯერ კიდევ საკითხავია — ვინ ვის ძარცვავს!

**ბონდო გულიაშვილი.**

**კონტრაბანდა**

**ავტომობილი ფუფუნება კი არა, გადაადგილების საშუალებაა, ამბობდა ილია ილფისა და ევგენი პეტროვის უკვდავი გმირი ოსტაპ ბენდერი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ჩვენი თანამოქალაქე ძველებურად საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობს ანდა, სულაც, ფეხით დადის, ბოლო დროს თბილისში, მთლიანად ქვეყანაში, უამრავი მანქანა მოძრაობს. დედაქალაქის ქუჩები, მით უმეტეს, ცენტრი, დღის განმავლობაში მანქანებით ისეა გადაჭედილი, რომ თუკი კაცს ადგილზე მისვლა დანიშნულ დროს სურს, აუცილებლად თადარიგი უნდა დაიჭიროს. ახლა ამას გზების კატასტროფულ მდგომარეობასაც თუ დავუმატებთ... თუმცა ეს სხვა თემაა, რომელზეც სხვა დროს ვილაპარაკებთ.**

# იაფი ავტონაწილები ლამის ძვირი დაგვიჯდა

იმ ავტომანქანებს შორის, რომლებიც დედაქალაქში მოძრაობენ, უმეტესობა საკმაოდ „ასაკოვანია“ და თუმცა ისინი ექსპლუატაციისათვის სავსებით გამოსადეგია, დროდადრო ნაწილების შეცვლას აუცილებლად საჭიროებენ. ეს კი არა, რაღაც ნაწილის შეცვლას ზოგჯერ სრულიად ახალი მანქანაც კი საჭიროებს.

ყოველივე ამის გამო ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების ბაზარი საქართველოში ძალზე დიდია და, შესაბამისად, აქ მოვაჭრე ფირმებისა თუ ინდივიდუალური გამყიდველების ბიზნესი საკმაოდ მომგებიანია. თანაც თუ ავტონაწილების გამყიდველი კანონით დადგენილ გადასახადებს „დაემალება“, ეს მოგება, ცხადია, მნიშვნელოვნად გაიზრდება.

სამწუხარო ფაქტია: ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები შიდა ბაზარზე ჯერჯერობით ისევ უმეტესწილად კონტრაბანდული გზით შემოდის. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მონაცემებით, მიიღეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ავლაბარში, ეგრეთწოდებული „მერვე პოლკის“ ბაზრობაზე შეიტანეს ავტომანქანების აღურიცხავი სათადარიგო ნაწილები. თუ რა გზებით, რანაირი გარიგებების შედეგად მოხვდა ეს საქონელი თბილისში ისე, რომ ნახევარი საქართველო გამოიარა და კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებიდან არავინ დაინტერესდა მისი ქვეყანაში შემოზიდვის კანონიერებით, სხვა საკითხია.

ოპერატიული მონაცემებით, აღნიშნული ავტონაწილები, წინასწარი შეთანხმების თანახმად, მყიდველს ერთიანად უნდა წაეღო. თუ არა ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა ოპერატიული მოქმედება, ამ გარიგებით სახელმწიფო ბიუჯეტი გაცილებით უფრო მეტად დაზარალდებოდა. საქმე ის არის, რომ თავდაპირველად იგი მაშინ დაზარალდა, როცა საქონელი ქვეყნის ტერიტორიაზე კონტრაბანდული გზით შემოვიდა, მეორედ კი მაშინ იზარალებდა, როცა მყიდველი მას წაიღებდა და გაყიდდა. ვერავინ დაგვარწმუნებს იმაში, რომ „აღურიცხავი საქონლის“ გამყიდველი ბიუჯეტთან ანგარიშს ალალად გაასწორებდა. კონტრაბანდულ საქონელს კი „აღურიცხავს“ იმიტომ ვუწოდებთ, რომ თუკი ქვეყნის ტერიტორიაზე არაკანონიერი გზით მოხვედრილი საქონელი მაინცდამაინც საზღვრიდან „ორ ნაბიჯზე“ არ დააკავეს, იგი, ავტომატურად, ამ კატეგორიაში გადადის და, შესაბამისად, მისი მეპატრონე მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით ისჯება. ეს სადღეისოდ მოქმედი კანონმდებლობის აშკარა ნაკლია, რის შესახებ არაერთხელ გვითქვამს, და რომელიც, იმედია, ახლო მომავალში აღმოიფხვრება.

ამრიგად, ჩატარებული საგანგებო ღონისძიების შედეგად, ფინანსური პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა „მერვე პოლკის“ ბაზრობაზე დიდი ოდენობით (სავარაუდოდ, 200 ათასი ლარის ღირებულების) სხვადასხვა დასახელების ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები აღმოაჩინეს, რის შედეგად საწყობი, სადაც აღურიცხავი საქონელი ინახებოდა, დაილუქა. როგორც გაირკვა, ეს პროდუქცია ზელიმხან ჭანყოშვილს ეკუთვნის. მან ადგილზევე აღიარა, რომ ავტონაწილების წარმომავლობასთან დაკავშირებით არანაირი დოკუმენტაცია არ ჰქონდა.

აქვე დავძენთ, რომ ფინანსურ პოლიციაში არსებული მონაცემებით, ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები საქართველოში „წითელი ხიდისა“ და „მტკვრის“ საბაჟო-გამტარი პუნქტების გავლით შემოაქვთ. ამ „საქმიანობას“ კი, ძირითადად, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლებული საქართველოს მოქალაქე, აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობა ეწევა. აქაურ მცხოვრებლებს საზღვარზე ტვირთი მცირე პარტიებად, მსუბუქი ავტომანქანებით გადმოაქვთ.

ამჟამად აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა, ხოლო თავად კანონდამრღვევი აღურიცხავი ავტონაწილების დაბრუნებას მხოლოდ დიდი ჯარიმის გადახდის შემდეგ შეძლებს.

**ოთარ ტურაბელიძე.**

**ერიჰაა!**

# გარიგებულნი თუ მოუხელთებელნი?

**ახლახან ახალგაზრდა ბოშა კაცისგან სასურველი ფეხსაცმელი შევიძინე. რომ ნახა, ნაღდი მყიდველი ვიყავი, იაფად დამითმო. ნაჩუქარივით მივიჩნიე და მეტად გავიხარე, რადგან ბაზრობაზე მსგავსი ფეხსაცმელი მეძვირა, ვერ „შევწვდი“. ისე კი, ნებისმიერი მიხვდებოდა, რომ ბოშას ზურგზე გადაკიდებულ ჩანთაში მოთავსებული ნივთები, „ცივი ხელის“ ნამოქმედარი გახლდათ...**

ცნობილია, ბოშები ხალხმრავალ ადგილებში ციბრუტივით ტრიალებენ და „საქონლის“ გასაღებაში ბადალი არა ჰყავთ. ბადალი მათ არც „ობიექტზე“ დაცხრომისა და შეჩეჩების ტაქტიკაში ჰყავთ.

ერთ-ერთ ასეთ სამიზნედ აღმაშენებლის გამზირს დავასახელებ. ნებისმიერ დროს, ზამთარ-ზაფხულ, იქ ისეთი ტაციობაა, მტრისას!

როგორც ყველა ჩვენგანი, შორიდან მეც შევსწრებივარ მათგან დაწიოკების ფაქტებს, პოლიციის ჩარევას, დაზარალებულ თუ უკმაყოფილო მოვაჭრესა და მომხმარებელს, გასაუბრებით კი მხოლოდ ქალბატონ ქეთევან აფთარაულს გავესაუბრე. მას მაღაზია აქვს აღმაშენებელზე.

— მოკლედ, ტერორის ქვეშ ვყავართ ამ „ციგნებს“. თავს გვესხმიან და ყველაფერი მიაქვთ, რისი წართმევაც შეიძლება. თანაც თითო-თითოდ კი არა, ერთი ხელის მოსმით უსწრაფესად იყრიან ჩანთაში ნივთებს, ტანისამოსის ქვეშ და შარვლებშიც იჩურთავენ.

„ბრძოლის ტაქტიკაც“ უცვლელი აქვთ: ჯგუფ-ჯგუფად შემოცვივდებიან, ბავშვს ზურგიდან ჩამოიხსნიან და ხელებში გესვრიან. გიჭირავს პატარა და ვერ ინძრევი. ყველა კუთხე-კუნჭულს დაიკავებენ და მიდის „წმენდა-მუშაობა“. ხელის გასაცლელად გარეთ გავარდებიან, გამოუცდელი თვალიც კი შეამჩნევს ქუჩაში მიმავალთ რაღაც-რაღაცეები რომ ცვივათ. გაეკიდები ერთს, მეორე გარბის, ახლა იმას გაეკიდები, მესამე გარბის და ა. შ. ვერაფრით ვერ მოიხელთებ. თანაც მალევე ბრუნდებიან უკან, ერთმანეთს გაჭირვებაში არ ტოვებენ...

და ასე, ჩვენს თვალწინ გადის და ნიავდება სიმწრით შეძენილი საქონელი, მერე რომ იაფად იყიდება ქუჩაში. წინააღმდეგობა გარკვეული დოზით უნდა გაუწიო, თორემ ზედმეტი შეკამათების გამო ისე გალახეს ახლახან გამყიდველი ქალი და მისი ქომაგი, რომ ცხვირპირიდან სულ სისხლი ადინეს. პოლიციასაც გამოუძახეს — ეს ჩვენი საქმე აღარ არის, მაღაზიის მეპატრონის პრობლემააო, — თქვეს და მაშინვე წავიდნენ.

რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენი მოვალეობა-ვალდებულებები კარგად ვიცით: დაცვაც გვყავს და კარის გასაღებიც გვაქვს. თავსაც ვიცავთ, „საგანგაშო“ შემთხვევებში, ანუ როცა „ციგნები“ მოდიან, შიშით შიგნიდან ვიკეტებით, „გამოვემწყვდევით“ 20 კვადრატულში და აღარ „ვმასპინძლობთ“. მაგრამ პოლიციისგან ეს რა პასუხია — ნაცემი და გაქურდული ადამიანი არ უნდა დაიცვან? როგორი მოსათმენია, როცა ამბობენ, — მათ დასაჭერად არანაირი კანონი არ არსებობსო!

მართლაც, რა მარტივად და გულუბრყვილოდ შეიძლება ჰკითხო სამართალდამცველებს — რა კანონი იცავს ბოშებს? თუ მაღაზიაში გასაძარცვად შესულ ქართველს, რუსს, სომეხს... პასუხი მოეთხოვება კანონის წინაშე, „ციგანი“ რატომღაა „წითელი კვერცხი“? ასე თავისუფლად როდემდის უნდა იაროს და აწიოკოს ვაგზლის მოედანი, ბაზრის ტერიტორია? რა მოსათმენია, რაც თვალში მოუვა, „უცერემონიოდ“ აიღოს და მეპატრონეს, შეძახილზე „უკან დადეო“, აქეთ შეუბღვიროს, წაიღოს და პოლიციამ არ შეიმჩნიოს?

იმედია, პოლიციის ახალი შემადგენლობა, ის ადამიანები, რომელთაც ქვეყნის ხელისუფლებამ ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მოვალეობა ანდო — გაუფრთხილდნენ მოქალაქეებს — ინერტულობას არ გამოიჩენენ, „ქუჩის პრინციპებიდან“ გამომდინარე, ყველაფერს არ შეეგუებიან და ბოშებისგან უფრო აქტიურად დაიცავენ საზოგადოებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ ისე ვიფიქრებთ, — პოლიციასთან გარიგებულები არიანო...

**ია კალანდარიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 153, კვირა, 4 ივლისი, 2004 წელი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, აცხადებს ღია ტენდერს საკანცელარიო საქონლის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

| №№ | შესასყიდი ობიექტის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | ქაღალდი A4 (80 გრ.) | 4000 შეკვრა |
| 2. | ქაღალდი A3 (80 გრ.) | 900 შეკვრა |
| 3. | [illegible] | 3000 |
| 4. | [illegible] | 200 |
| 5. | ფანქარი | 600 |
| 6. | საშლელი | 250 |
| 7. | ფაილი | 600 შეკვრა |
| 8. | წებო მშრალი | 500 |
| 9. | წებო თხევადი | 200 |
| 10. | შტრიხი კორექტორი | 200 |
| 11. | [illegible] | 1200 |
| 12. | [illegible] | 600 |
| 13. | სახაზავი | 200 |
| 14. | კონვერტი A3 | 2000 |
| 15. | კონვერტი A4 | 3000 |
| 16. | კონვერტი A5 | 1000 |
| 17. | [illegible] | 200 |
| 18. | საკანცელარიო დანა | 200 |
| 19. | [illegible] | 400 |
| 20. | ფაქსის ქაღალდი | 300 |
| 21. | [illegible] | 2000 |
| 22. | [illegible] | 200 |
| 23. | [illegible] | 800 |
| 24. | [illegible] | 1500 |
| 25. | [illegible] | 200 |
| 26. | [illegible] | 100 |
| 27. | [illegible] | 100 |
| 28. | [illegible] | 100 |
| 29. | [illegible] | 10 ც. |
| 30. | [illegible] | 3000 |
| 31. | [illegible] | 200 |
| 32. | [illegible] | 6000 |
| 33. | [illegible] | 200 ც. |
| 34. | [illegible] | 200 ც. |

2. მიწოდების ადგილი – შემსყიდველი ორგანიზაციის საწყობი, ვადაა: 2004 წლის ბოლომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 5.07-2004 წლიდან 20.07.2004 წლამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი 403, ტელეფონი 98-40-06.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**4.2.ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმალვობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისთვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათაგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 1 დღისა, 2004 წლის 30.07-ისა, შემდეგ მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი №403, ტელ: 98-49-06. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: ქსოვრელი ივანე, გრძელიშვილი გიორგი, პეტრიაშვილი ფრიდონი, მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახში 403, ტელეფონი 98-40-06.

**საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**
**პ. მამრაძე.**

მოზაიკა

# საიდან გაჩნდნენ ლიულები?

**ძველი** აღმოსავლური ლეგენდის თანახმად, ერთ ღარიბ ოჯახში ჰყავდათ ორი შვილი – ვაჟი ლიუ და გოგონა – ლი, რომლებმაც დამპყრობლების შემოსევის დროს, დედ-მამა დაკარგეს. გაოგნებულმა ბავშვებმაც გადაწყვიტეს სხვადასხვა გზას დასდგომოდნენ და ყველგან მოეძებნათ თავიანთი მშობლები. რამდენიმე წლის შემდეგ ძმა თავის დას შეხვდა, მაგრამ მათ ერთმანეთი ვერ იცნეს და დაქორწინდნენ. როცა ყველაფერი გაირკვა, მოლამ დაწყევლა ისინი, მათი შვილები, შვილიშვილები და მთელი შთამომავლობა – ერთი სიტყვით, მთელი ლიულის ხალხი... ასე უწოდებენ თავიანთ თავს შუააზიელი ბოშები, რომლებიც თანამედროვე ტაჯიკეთისა და უზბეკეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და უკვე არაერთი საუკუნეა მისდევენ იქ თავიანთ საქმეს – მათხოვრობას. ამასთან, ლიულის ხალხი, რომელთა სახის ნაკვთებიც ძალზე წააგავს ევროპელი ბოშებისას, მტკიცედ ერთგულობენ თავიანთ კანონებს და ლაპარაკობენ მხოლოდ მათთვის ცნობილ ენაზე – არგოზე. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ შუააზიელი ბოშები, ისევე როგორც ყველა სხვა ბოშა, წარმოშობით ინდოეთიდან არიან და უძველეს დროში ისინი მიეკუთვნებოდნენ ინდუსთა საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დაბალ კასტას. შუა საუკუნეების სპარსი მწერლის ფირდოუსის „შაჰნამეში“, აღწერილია, თუ როგორ ჩავიდა ინდოეთში სპარსეთიდან 12 ათასი მსახიობი „ლური“, რომლებიც V საუკუნეში აჩუქეს სპარსეთის მმართველს სასანიტთა გვარიდან ბაჰრამ გურს. ეს ადამიანები დამკვიდრდნენ ახალ ადგილზე და შეძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი საზოგადოება და ხელობა, შექმნეს ბოშების თავისებური ეთნიკური ჯგუფი. სპარსულ ენაში სიტყვა „ლიული“ დღემდე ნიშნავს „მოცეკვავე და მომღერალ ადამიანს“. შუააზიელი ბოშები რამდენიმე ჯგუფად დაიშალნენ, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი – „ლიული“, ან ჯუგი (ასე უწოდებენ მათ უზბეკეთსა და ტაჯიკეთში), 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, დაახლოებით 25 ათასს შეადგენდა. შუა აზიის ბოშების საერთო რიცხვი კი, ალბათ, სულ ცოტა, ერთიორად უფრო მეტი უნდა იყოს. „ლიულის“ ტომის წარმომადგენლებს ხომ საბუთები არა აქვთ, ამიტომაც ისინი, ფორმალურად, შეიძლება ითქვას კიდეც, არ არსებობენ.



კალენდარი

# ამ დღეს დაიბადნენ

**5 ივლისი**

**ზაზა კახიანი** (1928-2000) – მეცნიერი, ქირურგი, ბიბლიოფილი.

**ლერი ხაბელოვი** (1964) – XXV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი.

**ევა გოცირიძე** (1963) – იურისტი.

**6 ივლისი**

**გივი გამსახურდია** (1937) – ეკონომისტი, პროფესორი.

**მერაბ მერაბიშვილი** (1931) – საქართველოს სახალხო მხატვარი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.

**7 ივლისი**

**ჭოლა ლომთათიძე** (1879-1915) – მწერალი.

**იოსებ სამებელი** (1678-1750) – საეკლესიო მოღვაწე და მესტამბე-გამომცემელი.

**ოდისეი დიმიტრიადი** (1908) – დირიჟორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

**თენგიზ შუბლაძე** (1953) – გენერალ-მაიორი.

**გიორგი ხაინდრავა** (1956) – სახელმწიფო მინისტრი, კინოოპერატორი, კინორეჟისორი.

**მამია ვაშაყმაძე** (1948) – არქიტექტორი.

**8 ივლისი**

**ვეფხია სამხარაძე** (1976) – სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში.

**თენგიზ სუხიშვილი** (1938) – ქორეოგრაფი, ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

**მიხეილ ხომერიკი** (1972) – არქიტექტორი.

## განცხადება

სს „ქვემო ქართლის ტელერადიო კომპანია“-ს სამეთვალყურეო საბჭო 2004 წლის 4 აგვისტოს 12 საათზე იწვევს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას, შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. №32.

## დღის წესრიგი:

1. 2003 წლის წლიური ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება;
2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილბები;
3. საზოგადოების აუდიტორის არჩევა;
4. საზოგადოების რეორგანიზაცია;
5. სხვადასხვა.

კრების სააღრიცხვო თარიღი 2004 წლის 4 ივლისი.

⊙ პოეზია უპირველეს ყოვლისა



## ჯანო ჯანელიძე

### საგალობელი უმაღლესს

შენ ჩემი სულის წმინდისა ქნარო,
სურნელოვანო ჩემო იელო,
შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო,
და შენთვის ვგალობ საბედნიეროდ.

დე, აშრიალე ტყეები ხატის,
ვარ დაჩოქილი შენს მზე — ნარცისთან,
შენ ცა ხარ ჩემი უმაღლეს ნატვრის,
შენ ცრემლები ხარ, მე რომ დამცვივდა.

ჰოი, რამდენჯერ მაინც იქუხა,
ჰოი, რამდენჯერ მაინც გაწვიმდა?!
მხოლოდ მისთვის, რომ
გასცემდი უხვად,
გაბრწყინებულა შენი მთაწმინდა.

ეს ცრემლთა დენა მიიღე ლოცვად,
ჩემი ცრემლები რწყავენ შენს ხრიოკს,
შეიმოსები ოქროსფრად როცა,
ნება მიბოძე შენს ფრთებს ვემთხვიო.

### არჩევანი

იგი არ ბამავს სიმაღლით მუხას
და არ ხმაურობს ისე, ვით აფრა,
იგი დგას ჩუმად,
იგი დგას უხმოდ,
მაგრამ გვირგვინად ირჩევენ დაფნას
და არა მუხას.

### ჯვარცმა

ვარ მაცხოვარი ჯვარზე გაკრული,
მაგრამ ლურსმნები არსაით ჩანან
და საკუთარი გულის ბაგუნი
მესმის და ჩემს წინ ღია ფანჯარას
გავცქერ, რადგანაც შემომრჩა ხედვა,
გახსოვდეთ კარგად მოწყალე ქრისტე
და ჩემი სათნო, ლამაზი დედა —
მზე — მარიამი ღამეებს მითევს.

და შეუმჩნევლად ჩამომდის სისხლი,
თითქოს იღვრება თვით მზე ნელიად,
თითქოსდა სისხლის სიმღერა ისმის, —
ასე ცხოვრება მართლაც ძნელია.

ამდენი ტანჯვა რად მერგო მაინც?!
და გული ჩემი ტკივილს ვერ იტევს
და კედლისაკენ გამირბის თვალი,
სად ჯვარს გაკრული ჰკიდია ქრისტე.

### დავალ მწუხარე და მგლოვიარე

დავალ მწუხარე და მგლოვიარე,
ცრემლები ნაკვერცხლებად მცვივა,
სამყარო ჩოქვა-ჩოქვით მოვიარე,
ღიმილი მომაგებე, ცირა!..

ვინღა განმიკურნავს ამ იარებს,
ქვეყნად არვის ვხედავ მცინარს,
მთვარეც მწუხარე და მგლოვიარე,
იმედი მომაგებე, ცირა!..

ცრემლად მომდინარევ, ო, მდინარევ,
ვხედავ მამულს ჩემსას მძინარს,
დავალ მწუხარე და მგლოვიარე,
ნუგეში მომაგებე, ცირავ!..

ეს ზარიც მწუხარე და მოხმიანე,
ვიცი, საჩემოდ რომ წირავს,
მივალ მწუხარე და მგლოვიარე,
ცრემლები მომადევნე, ცირავ!..

⊙ ეპისტოლე

ოტია იოსელიანი

# წერილები დაჩის



## უცხო ენის სწავლების თაობაზე

საოცრად უაზროა ჩვენი (სხვა ხალხმა თავისა თვითონ იცის) უცხო ენის სწავლებისადმი გაუცნობიერებელი, განუკითხავი დამოკიდებულება. მოდასაყოლილ, ვითომ „განათლებულობის" მოწადინე უვიცებს რომ თავი დავანებოთ, თვით ჭკუადამჯდარი დარბაისელი მეცნიერებიც და მოაზროვნეებიც კი სცოდავენ.

როგორც ვიცით, დიდებული იაკობ გოგებაშვილი ცხრა წლამდე ბავშვისთვის სხვა ენის სწავლებას საჭიროდ არ თვლის. შემინდოს ბატონმა იაკობმა, მაგრამ ცხრა წელიც ნამეტანი ნაადრევი მგონია და თითქოს უბრალო, ნათელი, ყველასათვის გასაგები მიზეზის გამო.

ენა ხომ ნააზრევის სიტყვად საქცევად და გადმოსაცემად გვინდა. თავში რა ჭკუა, გონი, სისულელე და სიბრძნე გვაბადია, იმის გამოსახატავად და ამას ხომ საიმისო ენა და მხოლოდ ენა სჭირდება, თორემ უამისოდ სხვისთვის კი არა, იმისთვისაც გაუგებარი იქნება, ვის თავშიც დევს.

რამდენად დიდია აზრი, სათქმელი მრავალფეროვანი და ღრმა, იმდენად „დიდი", მდიდარი, მრავალმხრივი და მრავალსიტყვა ენა სჭირდება გასაცნობიერებლად და გადმოსაცემად.

აზრი ვერ გაჩნდება, თუ მისი მოსააზრებელი, შემქმნელი ენა იქვე არ დევს.

ამდენად, სააზროვნო (სალოცავი) თავისთავად მშობლიურია – თვითნაბადი, მაგრამ სათქმელის მშობელი ენაა, თუ გნებავთ, შემოქმედიც. და ხომ უნდა იყოს სრულქმნილი, სრულყოფილი, უნაკლულო. ესე იგი, მშობელი რაცაა, იმას შობს ხომ. რაც ჩვენს ხელთაა, იმის წარმოჩენა ძალგვიძს. „კოკასა შიგან რაცა დგას", ის გადმოიღვრება ხომ?

და ჯერ ვიკითხოთ, კოკა არის სავსე? აპირთავებული? რაღაცა რომ ფსკერში ჭყვამპალობს, რომ გადმოაპირქვავო, რაცაა კი გადმოიქცევა, მაგრამ თუ კოკა საბედნიეროდ კოკაა და არა კოკუნა, ან დოქი, ან უარესი, ნიტრა... მაგრამ, რაცაა ხომ უნდა აივსოს, რომ მისი ტევადობა მთლიანად გამოყენებულ იქნას (არადა, ნაკლულმა, თუ ღვინოა, გაძმარება იცის და წყალმა – დამყაყება).

და ამ კოკის ავსებას თუ ცხრა წელი ეყოფა, კი ბატონო. თუ არადა, რამდენიც დასჭირდება. მე ვინ მკითხავს, თორემ, იქნებ თხუთმეტიც კი, რაკი „ვინც თხუთმეტი წლისა არაფერია, იგი არასოდეს არაფერი არაა".

და, აქედან და მხოლოდ აქედან გამომდინარე, სანამ ეს კოკა წვეთ-წვეთობით არ ავსებულა, გვერდით მეორეს უდგამ?! როცა წყარო ერთია?!

რაფერ?!

რანაირად?!

რა გამოვა? როცა დიდ უმრავლესობას ის ერთიც (თავისი), მთელი სიცოცხლე, აუვსებელი რჩება!

ილია ბრძანებდა: რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო, მაგრამ შენი ენა არ იცოდეო, ეს კი არ უთქვამს. პირიქით, მშობლიურის, სააზროვნო, სალოცავი ენის ზედმიწევნით ცოდნას გულისხმობდა.

სხვანაირად ეს ყოვლად შეუძლებელია. თუ შენს ენაზე არ იცი ვაშლს რა ჰქვია, სხვა ენაზე, თუ არ დაგანახვეს, ვერ გაიგებ. შეიძლება მსხალი გეგონოს, ქლიავი, ან კორკიმელი. ასეთ დროს ვაშლის დანახვით საქმეს ეშველება, მაგრამ ხომაა ისეთი რამ, უამრავი, რაც ვაშლივით თვალსაჩინო არაა. ოცნება თუ თავის ენაზე არ იცის, როგორ გინდა დაანახვო, როცა თვითონ მეოცნებესაც ხელშესახებად არ უნახავს და შეიძლება ვერც ვერასოდეს იხილოს და უცხო ენის ცოდნაც ოცნებად დარჩეს.

ესე იგი, ერთი ზედმიწევნით კარგად, ღრმად, ძირისძირამდე უნდა იცოდეს და მერე ამ ცოდნით სხვა ენაზე ცოდნა ინდომოს. უნდა დაისწავლოს ესა თუ ის „თავისი" სიტყვა როგორაა სხვა ენაზე და არა რაც არ იცის, ის როგორაა სხვა ენაზე. რაც მისთვის არაფერს ნიშნავს, რად უნდა იცოდეს რას ნიშნავს სხვისთვის, სხვა რას ეძახის?

თუ ქართველი „ვეფხისტყაოსანს" ვერ კითხულობს, არადა, „ვეფხისტყაოსანს" „კოკუნათი", „დოქითა" და „ნიტრით" კი არა, „ნაკლული კოკით" ვერ წაიკითხავს, რაც ჩვენებურებსაც ბევრს ემართება, რა გაუგოს ინგლისურად შექსპირს, ესპანურად სერვანტესს, გერმანულად გოეთეს და რუსულად ტოლსტოის! არადა, ნასწავლი ენა, როგორ კარგადაც უნდა იცოდე, ის ხომ შენი ენის სასწორზე დევს. შენს ენაზე უნდა გადმოააზროვნო. ეს შენდა უნებურადაც კი ხდება, რაკი ყველანაირი აზრი შენი გონების ქვაბში ცვივა და შენს ენაზე იხარშება.

და, სამწუხაროდ, ხდება, რამდენიც გინდა, პატარაობიდანვე ორ-სამ ენას ვითომ ერთად ასწავლიან და „ანათლებენ".

მერე, რა?

რა ხდება?

ხდება ის, რომ ერთ კოკაში, ერთსა და იმავე დროს, ისხმება ღვინო, წყალი, ჭვანგი, ზეთი, ნავთი, წუმპე და იქნებ ქვაბიც აივსოს, ადუღდეს კიდეც, მაგრამ უმწიფარი, მკვახე, სხვადასხვა ჯიშისა და ჯილაგის დომხალი უხარშავი და დაუშუშებელი რჩება.

თავისი ენის მცოდნე რომ სხვა ენას სწავლობს, იმდენად სწავლობს, რამდენადაც თავისი ენა იცის. მან თავისი რაც იცის, იმის ცოდნა უნდა სხვა ენაზეც. თავისი ენით ნააზროვნების გადატანა უნდა სხვა ენაზე. თუ აზრი თავის ენაზე არ აქვს, სხვისას რა თავში იხლის!

იყო ჩვენთან ამის სამწუხარო მაგალითი, როცა ჩვენს ბავშვებს აბარებდნენ რუსულ სკოლებში. ბევრს ვიცნობ, ღამურებია – ვერც ერთს ხეირიანად ვერ ფლობენ და რაკი ენა ერის სულია, ამდენად, არც ერთი ერის შვილად ღმერთს არ უქნია.

ენების ცოდნა როგორ არ გვინდა. რა ბედნიერებაა, დედანში კითხულობდე მსოფლიო შედევრებს, რაკი ყველაზე კარგი თარგმანიც კი ნახევარია და ენა რომ იცოდე, ხომ ორჯერ ბედნიერი იქნებოდი, მაგრამ თავიდან შენი... შენი კოკა უნდა აივსოს, აპირთავდეს და ეეე!... როცა გადმოდინდება, მერე უნდა მიუდგა მეორე. ორი ენის სრულფასოვნად მცოდნე სადაა და თუ მაინცაა, მეორეს თუ აავსებ, მიუდგა მესამე...

რამდენიც უნდა იკეკლუცო და ითავმომწონო ამდენი და ამდენი ენა ვიციო და თავიც მოიტყუო და ქვეყანაც, ენას, თვითონ ენას ხომ თვალებს ვერ აუხვევ.

რად გინდა ყველა ნაკლული, ან ერთი – მეორე, მესამით შევსებული და რაღაც არეულ-დარეული მღვრიე დურდო!

⊙ ძმობის მომღერალი

# რა თქვა ილია კავკაზაგმა გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე

**ცნობილი ოსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ილია კაზმაზოვი, რომელსაც თანამედროვეობა კავკაზაგის ფსევდონიმით იცნობს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად ითვლებოდა და არა მარტო ჩვენში თუ ოსეთში, არამედ რუსეთშიც ავტორიტეტით სარგებლობდა.**



ილია კავკაზაგი ყმაწვილობიდანვე წერდა ლექსებსა და საბავშვო მოთხრობებს. მისი პოეზიის თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსები სამშობლოსა და ხალხთა მეგობრობაზე. მან ორი ათეული წელი თბილისში გაატარა და მისთვის განუყოფელი იყო ოსეთი და საქართველო.

პოეტის ლირიკული ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსების ციკლი „ჩემი თბილისი", რომელშიც საქართველოს მრავალჭირნახული დედაქალაქის მიმართ სიყვარულის სათუთი გრძნობაა ჩაქსოვილი. ძალუმად ჟღერს მისი სიტყვები:

**ყველა ხალხისთვის**
**ხარ საყვარელი,**
**ყველა ხალხისთვის**
**გულის ზიარო,**
**იყავ სულ მუდამ**
**ასე ნათელი,**
**რომ განუხრელად სულ**
**წინ იარო.**

პოეტი ჩვენს დედაქალაქში მცხოვრებ სხვადასხვა ერის შვილებს გულწრფელად მოუწოდებდა, თბილისი უნდა გიყვარდეთ, მასთან მხარდამხარ იაროთო. როცა ვკითხულობთ მის ლექსებს: „სიმღერა თბილისზე", „ნარიყალა", „დღეს სხვაა ჩემი თბილისი" და სხვა, ვერ განგისაზღვრავს, რომელი რომელს ამჯობინო.

ი. კავკაზაგის ლექსები სხვადასხვა წელს თარგმნეს ცნობილმა ქართველმა პოეტებმა: გრიგოლ აბაშიძემ, ხუტა ბერულავამ, გიორგი კაჭახიძემ და სხვებმა. მათი თარგმანები ორიგინალივით ჟღერს და ქართველი მკითხველის ინტერესს იწვევს.

1983 წელს, როცა შესრულდა ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის" გამოქვეყნებიდან ასი წლისთავი, ი. კავკაზაგმა დაწერა ამ ნაწარმოების მიხედვით კინოსცენარი, რომლის პირველი ეგზემპლარი გადასცა ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმს. ამ კინოსცენარის შესახებ პროფესორი იოსებ მეგრელიძე წერდა: ... „ილია კავკაზაგი პოეტია და ი. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის" პერსონაჟთა და დამატებით სახეთა სამოქმედოდ წარმოუდგენია ფრიად მხატვრული ასპარეზი. დამაჯერებელია მწყემსი ქალისა და მწირის (ასკეტის) შეხვედრა, სცენარის მხატვრული სურათები. ასე რომ, ხელთ გვაქვს კარგად მოფიქრებული და საკმაოდ მხატვრული კინოსცენარი. სასურველია იგი გამოყენებულ იქნას. დავძენ, ი. კავკაზაგი ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობის ერთი კარგი წარმომადგენელია და იგი მხარდაჭერის ღირსია".

ბატონ ი. მეგრელიძის შეფასებაში არაფერია გადაჭარბებული. ამ სტრიქონების ავტორი წლების განმავლობაში მეგობრობდა ბატონ ილია კავკაზაგთან. მისი არაერთი სამახსოვრო წიგნი და სურათი ახლაც ინახება ჩემთან და სიამოვნებით ვიხსენებ მის გულალალ საუბარს.

როცა პოეტმა პოემა „განდეგილის" კინოსცენარი მოიტანა საგურამოში და გადასცა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს, მას გულითადი მადლობა მოვახსენეთ.

სამწუხაროდ, იმ ხანებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ბნელი ძალების გავლენით იძაბებოდა ოსებისა და ქართველების ურთიერთობა, რასაც ი. კავკაზაგი მწვავედ განიცდიდა და იგი არართხელ შეკამათებია ცხინვალში რამდენიმე დაპირისპირებულ მწერალს, აღიარებდა, ქართულ მიწაზე – სამაჩაბლოში ზოგიერთი ოსი მოხელისა და პოეტის ანტიქართული გამოსვლა მკრეხელობააო.

ბატონი ი. კავკაზაგი ერებს შორის ძმობის მომღერალი იყო და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გულახდილად გვითხრა: ჩემი წადილია, ბოლო მოეღოს გაუგებრობას, განმტკიცდეს ოსი და ქართველი ხალხების მეგობრობა და ჩემი კინოსცენარი „განდეგილი" გადაიღონო.

სავალალოდ, ილია კავკაზაგი ისე გარდაიცვალა, რომ მისი წრფელი წადილი არ შესრულებულა.

**შალვა მარკოზაშვილი,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 153. კვირა, 4 ივლისი, 2004 წელი.

იუბილე

# ამაგდარი

**ხვალ გამოჩენილ ქართველ ინჟინერს, საქართველოში გაზიფიკაციის ერთ-ერთ პიონერს, ყველასათვის საყვარელ ადამიანს, ბატონ ილია ხეროდინაშვილს 70 წელი უსრულდება.**

**ილია შალვას ძე ხეროდინაშვილი დაიბადა 1934 წლის 5 ივლისს თბილისში, ღვაწლმოსილი მეტალურგების, საქართველოს დამსახურებული ინჟინრების შალვა ზურაბის ძე ხეროდინაშვილისა და ანა ილიას ასულ მჭედლიშვილის ოჯახში.**

**ილია ხეროდინაშვილმა 1953 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 32-ე საშუალო სკოლა. 1958 წელს იგი ასევე წარმატებით ამთავრებს მოსკოვის, მსოფლიოში სახელგანთქმულ ფოლადის ინსტიტუტს, სადაც იგი სპეციალურად იყო წარგზავნილი ახალი მზარდი დარგის – ქართული მეტალურგიის საჭიროებისათვის სპეციალისტების მომზადების პროგრამით.**

ბატონმა ილიამ, როგორც ინჟინერ-მეტალურგმა (სპეციალობა – მეტალურგიული ღუმელები) შესანიშნავი სკოლა გაიარა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, სადაც მან განვლო რიგითი სპეციალისტის, უფროსი თბოტექნიკოსის, გაზის მეურნეობის უფროსი ოსტატის, ბოლოს – ლაბორატორიის უფროსის გზა.

1967-1988 წლებში ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილ ინჟინერს ბატონ ილიას აწინაურებენ და ნიშნავენ „საქმთავარგაზში“ ჯერ განყოფილების უფროსად, ხოლო შემდგომ მუშაობს რესპუბლიკური სამმართველოს „საქორგგაზის“ უფროსად, „საქმთავარგაზის“ უფროსის მოადგილედ, „საქგაზსახკომის“ თავმჯდომარის მოადგილედ, ტრესტ „თბილგაზის“ მმართველად და ერთდროულად „საქგაზსახკომის“ თავმჯდომარის მოადგილედ.

ჩვენი იუბილარი თავიდანვე გამოირჩეოდა გულწრფელი თავმდაბლობით, კეთილშობილებით, მეგობრისადმი დიდი გულისხმიერებით, წესიერებით და საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონ ილიას, როგორც დიდი პროფესიონალის შემდგომი ღვაწლი საქართველოს გაზიფიკაციის განვითარების საქმეში.



იგი არის „საქტრანსგაზმრეწვის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, თურქეთში სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკური საწარმოს „გაზექსპორტის“ წარმომადგენელი, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მძიმე მრეწველობისა და ენერგეტიკის საკითხთა სახელმწიფო მრჩეველი, ინსტიტუტ „თბილჰიდროპროექტის“ გენერალური დირექტორის მოადგილე თბოენერგეტიკის დარგში.

ბატონი ილია ხეროდინაშვილი ამჟამად საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი-ს) ბუნებრივი გაზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტია.

ჩვენი იუბილარი, ბატონი ილია ხეროდინაშვილი 37 მეცნიერული ნაშრომის ავტორია, იგი არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (ჩვენს ქვეყანაში პირველი კანდიდატია გაზის მრეწველობის დარგში), საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორი, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საპატიო მუშაკი, საქართველოს ეროვნულ-ენერგეტიკული აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბატონი ილია არის ის პიროვნება, ვინც 1959 წლის 26 დეკემბერს პირველმა აანთო ცისფერი ალი და მიაწოდა იგი პირველ მომხმარებელს და პირველ საწარმოს (ეს მოხდა რუსთავის მარტენის მე-8 ღუმელში), 2003 წლის 28 ოქტომბერს ქ. ბათუმმა მიიღო ბუნებრივი გაზი და ბატონმა ილიამ აქაც პირველი გაზქურა აანთო, რითაც დამთავრდა საქართველოს ყველა რეგიონში გაზის მიწოდება.

ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა ილია ხეროდინაშვილის ღვაწლი სამშობლოს წინაშე – იგი დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის და ღირსების ორდენებით, მრავალი მედლით და სიგელით.

ბატონ ილიას ლამაზ საიუბილეო თარიღს ულოცავენ მისი მეგობრები და კოლეგები, უსურვებენ მას დიდხანს სიცოცხლეს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია; საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის დარგობრივი საბჭო; სს „თბილგაზი“; საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.**

უმაღლესი სკოლა

# ცვლილებები გართულებას არ ნიშნავს



## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები ტესტირებით გაიმართება

**მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული ვნებათაღელვა თანდათან ზენიტს აღწევს. ეს გასაგებიცაა. როგორც ყოველთვის, ახლაც ათასობით ახალგაზრდა დადგება დიდი გამოცდის წინაშე. არანაკლებ რთული და პასუხსაგები მისია აკისრიათ ამ დროს უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებს, მიმღებ და საგამოცდო კომისიებს, მთავარი მარტო აბიტურიენტის ცოდნის ობიექტური შეფასება როდია, კეთილმოსურნეობის სულ მცირე დეფიციტმა შესაძლოა იმედი გაუცრუოს ახალგაზრდას.**

**გაისად ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები ტესტირებით გაიმართება. წლეულს კი მხოლოდ რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში მოეწყობა გამოცდები ახლებურად, ასეთთა შორის არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ), რომლისთვისაც ფაქტობრივად ტესტირებული გამოცდა მთლად სიახლედ არ მიიჩნევა, რადგან ჯერ კიდევ 1997 წელს საქართველოში მანამდე უჩვეულო ასეთი გამოცდა პირველმა თსსუ-მ წამოიწყო: იმ წლის კურსდამთავრებულებმა დამოუკიდებელი ექიმის უფლების მოსაპოვებელი სახელმწიფო გამოცდა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკვე აპრობირებული ფორმით – ტესტირებით ჩააბარეს.**

**მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი თეიმურაზ პეტრიაშვილი.**

**– ბატონო თეიმურაზ, ცვლილებებმა, კერძოდ, მომავალმა ტესტირებულმა მისაღებმა გამოცდებმა, აბიტურიენტები შეაშინა. რატომ, მართლაც ასე საშიშია?**

– ცვლილებები გართულებას არ ნიშნავს. ყოველი სიახლე რატომღაც აკრთობს ხალხს. თუ აბიტურიენტმა იცის საგანი, ტესტირების მეშვეობით უფრო გაუადვილდება ცოდნის გამომჟღავნება. თანაც წლეულს ჩვენთან მარტო მისაღები გამოცდების ფორმა კი არ შეცვლილა, არამედ ჩასაბარებელი საგნების რაოდენობაც. თუ წინა წლებში მისაღებ გამოცდებზე 4 საგანი ბარდებოდა, წლეულს ფაკულტეტების მიხედვით საგნები შემცირდა. უფასო სექტორზე შემსვლელები 3 საგანში, ხოლო ფასიან სექტორზე შემსვლელები – 2 საგანში ჩააბარებენ გამოცდას.

**– გამოდის, ზოგიერთი საგანი საჭირო არ ყოფილა.**

– ასე არ არის. შემცირება პროფილიზაციის მიხედვით მოხდა. მაგალითად, ფარმაცევტულ, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამედიცინო ბიოლოგიის ფაკულტეტებზე წამყვანი დისციპლინა ქიმიაა, ამიტომ ამ ფაკულტეტებზე ბარდება ქიმია, მშობლიური ენა და ლიტერატურა და უცხო ენა. რაც შეეხება სამკურნალო, სტომატოლოგიურ, პედიატრიულ, ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედიცინისა და სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტებს, იქ ბარდება ბიოლოგია, მშობლიური ენა და ლიტერატურა და უცხო ენა. შარშან გამოცდები ქიმიასა და ბიოლოგიაში ყველა ფაკულტეტზე ეწყობოდა, წლეულს კი გადანაწილდა – იმ ფაკულტეტზე, სადაც ბიოლოგია წამყვანი საგანია, მისაღებ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნად ბიოლოგია დარჩა, ხოლო, სადაც წამყვანი საგანი ქიმიაა – ქიმიას ჩააბარებენ.



**– მაინც რა უპირატესობა აქვს და რითი სჯობს ტესტირება ტრადიციულ გამოცდებს?**

– უდიდესი. ჩვეულებრივ ზეპირ ან წერით გამოცდასთან დაკავშირებით ტესტირებულ გამოცდას დროც ნაკლები სჭირდება და გამსწორებელიც.

ტესტირებულ გამოცდებზე გამორიცხულია ყოველგვარი სუბიექტივიზმი. ჟურნალისტებს საშუალება გექნებათ, საკუთარი თვალით ნახოთ მთელი პროცესი – ტესტირებიდან მისი გასწორების ჩათვლით.

**– აბიტურიენტი ნიშანს როდის გაიგებს?**

– მას მომქანცველი ლოდინი და ნერვიულობა აღარ მოუწევს, როგორც კი წერას მორჩება, „გამსწორებელთან“ მივა და თავად უყურებს ნაწერის გასწორებას. ასე რომ, აბიტურიენტი გამოცდიდან ნიშნით გავა. თუ ნიშანს ვერ მიიღებს, იმას ველარ იტყვის, მეკუთვნოდა და არ დამიწერესო.

**– როგორც ჩანს, პრეტენზიებიც აღარავის უნდა ჰქონდეს, და ვინმეს თუ მაინც ექნება?**

– საპრეტენზიო კომისია წლეულსაც იქნება. როგორც უკვე აღვნიშნე, ტესტებს სპეციალისტები არ გაასწორებენ, მაგრამ, თუ ვინმეს პრეტენზია ექნება, კომისიაში შემავალი სპეციალისტები განიხილავენ. რა თქმა უნდა, გამოცდის პროცესში შეცდომა გამორიცხული არ არის, მაგრამ, ძირითადად, ტესტებში შეცდომები გამორიცხულია. ბოლო წლებში აბიტურიენტები პრეტენზიას იშვიათად გამოხატავდნენ, წლეულს შეიძლება სულაც არ იყოს. თანაც თუ ოდესმე პრეტენზიის გამო საკითხის გადაწყვეტა გამხდარა აუცილებელი, იგი მუდამ აბიტურიენტის სასარგებლოდ წყდებოდა.

**– ტესტები ხომ არ „გაიპარება“?**

– მიმღები კომისიის მიერ გათვალისწინებული ტექნოლოგიით, ეს გამორიცხულია.

**– ტესტირება საგნების მიხედვით რა ფორმით გაიმართება?**

– მოგახსენებთ. უფასო სწავლების სექტორზე ტესტირებული გამოცდები ცალ-ცალკე ჩატარდება – ბიოლოგიაში, ქიმიაში, უცხო ენასა და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. ფასიან სწავლებაზე კი ტესტირებული გამოცდები კომპლექსურად გაიმართება: მაგალითად: ბიოლოგია და მშობლიური ენა და ლიტერატურა და ა.შ. ხოლო, რაც შეეხება სამედიცინო კოლეჯს, მისაღები გამოცდები იქაც ბიოლოგიასა და ქიმიაში კომპლექსურად გაიმართება.

**– ბატონო თეიმურაზ, მისაღები გამოცდების მთლიანად ტესტირებულზე გადასვლა ალბათ გაგიჭირდათ.**

– თქვენც აღნიშნეთ, რომ ჩვენთვის ტესტირება მთლად ახალი ამბავი არ არის. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ტესტირებულ საეტაპო გამოცდებსაც აბარებენ. მეორე კურსის ყველა სტუდენტი, საკურსო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ერთიან ტესტირებულ გამოცდას გადის. ამასთან, გასულ წლებში ფასიან სექტორზე მისაღები გამოცდები ტესტირებული ფორმით ეწყობოდა. აპრობაცია გავიარეთ. შექმნილია საინფორმაციო ბანკი.

**– ტესტებს კომისიის წევრები გაასწორებენ?**

– არა. ტესტებს ძირითადად ტექნიკური პერსონალი გაასწორებს.

**– თქვენს უნივერსიტეტში ყოველთვის დიდი კონკურსია. როგორია წლევანდელი პროგნოზი?**

– ჩვენთან მისაღებ გამოცდებზე ყოველწლიურად 800-ზე მეტი აბიტურიენტი მოდის. ფასიან სწავლებაზე შევსება, ძირითადად მოსამზადებელი განყოფილებებიდან მოდის. დარჩენილი საკონკურსო ადგილები კი მისაღებ გამოცდებზე დაგროვილი დადებითი ქულების მიხედვით შეივსება. კონკურსი ძირითადად უფასო სექტორზე მოდის, თუმცა სტომატოლოგიური ფაკულტეტის ფასიან სწავლებაზეც ყოველთვის არანაკლები კონკურსია.

ერთი რამ არის საგულისხმო: ფასიანი სექტორის სტუდენტებს და მოსამზადებელი ფასიანი განყოფილების მსმენელებს უფლება აქვთ, უფასო სწავლების კონკურსში მიიღონ მონაწილეობა.

**– ბატონო თეიმურაზ, როდის დაიწყება მისაღები გამოცდები?**

– კოლეჯში საბუთების შეტანა 5 ივლისს მთავრდება. 6 ივლისს კი გამოქვეყნდება მისაღები გამოცდების ცხრილი (აბიტურიენტების რაოდენობის შესაბამისად, იმისათვის, რომ ცხრილი ოპტიმალური იყოს).

უნივერსიტეტში შემსვლელთათვის საბუთების შეტანის ბოლო ვადა 18 ივლისია, 19-ში კი მათი გამოცდების ცხრილიც გამოქვეყნდება.

რამდენიმე დღეში მისაღები გამოცდები დაიწყება, ვფიქრობთ ტრადიციას არც წლეულს უღალატებს თსსუ საგამოცდო კომისია და გამოცდები მაღალ დონეზე ჩაივლის. ასევე ვიმედოვნებთ, რომ კარგ ცოდნას გამოამჟღავნებენ აბიტურიენტებიც.

**ესაუბრა**
**ნელა დურგლიშვილი**

⊙ ჯაზფესტივალის ექო

# როგორც საკუთარ ოჯახში

**პოსტრევოლუციური თბილისი ლეგენდარული მუსიკოსების ეიფორიამ ააფორიაქა... „საქართველოს ბანკის“ თბილისის ჯაზფესტივალის განვლილმა სენსაციურმა, თუმცა ეფემერულმა დღეებმა ნოსტალგია უკვე წარმოშვა. უფრო მეტიც, სკეპტიციზმის სიმპტომებიც კი გააჩინა — ნუთუ, მართლაც იმყოფებოდა ჩვენს „დეფექტურ რეალობაში“ ინოვაციური გიტარისტი ჯონ მაკლაფლინი და ინდურ-მედიტაციური „შაქტი“? ან კიდევ, ხმათა პოლიფონიურ-ლინეალურ მოძრაობას ანვითარებდა ადამიანი — ინსტრუმენტი — ბობი მაქფერინი? გია ყანჩელის ინტიმურ კომპოზიციას („ყვითელი ფოთლები“) ქართული ბგერებით აჟღერებდა ორეგონელი ქრის ბოტი? ქალაქის ოცნება ასრულდა — თბილისში მღეროდა მაიკლ ფრენქსი?**

**ეს ყოველივე პარადოქსია? — არა...**

**ეს მოვლენა თავისებური ფორმატით შეიძლება მითოსის ასკეტურ კონსტრუქციას წააგავს, მაგრამ... სინამდვილეში „ისტერნ პრომოუშენმა“ გრანდიოზული სიურპრიზი მოგვიმზადა. სიურპრიზები კი ყველას ძალიან უყვარს!**

## მედიტაცია, დოლი და... „შაქტი“

და მართლაც, დიდ საკონცერტო დარბაზში ლეგენდიდან მოსულ ჯგუფ „შაქტის“ (“Shakti”) და 70-იანი წლების „კულტს“ — ჯონ მაკლაფლინს ხალხი კარგა ხანს ფეხზე ადგომით უკრავდა ტაშს. ამ ეთნო-ვირტუოზების მუსიკალური კვინტესენცია ერთგვარი ექსპერიმენტია, ანუ სინთეზია ინდური ფოლკისა და ელექტროგიტარის ჟღერადობისა. ჯონ მაკლაფლინი მუსიკალურ აზროვნებაში ის ნოვატორია, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჯაზროკის არსებობა და რომელიც დღემდე ჯაზფიუჟენისა და კლასიკური ინდური ინტონაციების ჰარმონიზაციას ემსახურება. შესაბამისად, კომპოზიციათა ფორმა და წყობა დაუნაწევრებელია — აღმოსავლური და დასავლური ვარიაციული თემატიკა პაუზის გარეშე მიისწრაფვის ფინალისკენ ისე, რომ მუსიკალური ქარგა ეთნოკოლორიტით შეფერილ ჟღერადობას იძენს. ამ უცნაურ კონცეფციას ზაქირ ჰუსეინსა და ჯონ მაკლაფლინს სთავაზობს არა მხოლოდ მუსიკა, არამედ მედიტაცია და ინდური ფილოსოფია.

ჯერ კიდევ 70-იან წლებში მათზე დასავლური პრესა აი რას წერდა:

**„შეუძლებელია დაივიწყო ჯგუფი** (“Shakti”), **რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ შეცვალა შეხედულება ჯაზისა და ეთნომუსიკის ურთიერთობაზე“.**

საქართველოში პირველად ჩამოსული ჯგუფ „შაქტის“ თანახელმძღვანელი ზაქირ ჰუსეინი კონცერტამდე იტყვის:

**„ქართველ მელომანებს შევეცდებით ისეთი მუსიკა შევთავაზოთ, როგორიც ჯერ არ მოუსმენიათ. ამ ფესტივალში მონაწილეობა ჩემთვის, ვფიქრობ, ძალზე სასიამოვნოა და პრესტიჟული. ჩამოსვლისთანავე მივხვდი, რომ საკუთარ ოჯახში ვიმყოფები, ამიტომაც თავისუფლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე დავუკრავ. ძალიან გამიხარდა, რომ ქართველებმა დოლი მაჩუქეს, მომწონს და გპირდებით, მასზე დაკვრას ვისწავლი. მანამდე კი ჩემებურად ავახმაურებ... უდიდეს პატივს ვცემ ერის ტრადიციულ მუსიკალურ კულტურას, სადაც ჩემთვის ახალ ჰარმონიასა და რიტმიკას აღმოვაჩენ ხოლმე. საქართველოში ჩამოსვლისას ვიგრძენი, რომ ეს ქვეყანა თავისი ეთნოკულტურითა და ენერგეტიკით ჩემს სულიერ სამყაროსთან ძალიან ახლოს დგას. ქართული ფოლკლორული მუსიკა — ეს არაჩვეულებრივად ლამაზი, სხვადასხვა ჟღერადობის ჰარმონიული შერწყმაა. ვფიქრობ, აღმოსავლური ესთეტიკის მატარებელია და ეს ძალიან საინტერესოა“.**

როგორც ცნობილია, ინტელექტუალურ ანუ კოსმოპოლიტურ მუსიკას არც საზღვრები აქვს, არც დროის განზომილებას ემორჩილება და არც წარსული დინების მსხვერპლად იქცევა. ასეთი მედიტაციური მუსიკა მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულ ხელწერას მიეკუთვნება.


ნატო მეტონიძე და ქრის ბოტი.

## ყველაზე, ყველაზე...

თანამედროვეობის აღიარებული და ავტორიტეტული ვარსკვლავი სტინგი ქრის ბოტის შესახებ აი რას ამბობს:

**„ვფიქრობ, ქრის ბოტი მსოფლიოში საუკეთესო მესაყვირეა. დიდი მადლობელი ვარ, რომ ორი წლის მანძილზე ის ჩემი ბენდის წევრი იყო და ჩემთან ერთად უკრავდა. მის საყვირს საოცარი ხმა აქვს, მხოლოდ მას შესწევს ასეთი მგრძნობიარე და ინტიმური ბგერების გამოცემის უნარი. გარდა იმისა, რომ ქრის ბოტი შესანიშნავი მუსიკოსია, ის უბრალოდ ძალიან კარგი პიროვნებაა“.**

...და ძალიან სიმპათიური, ასევე საოცრად ლაღი, ხუმარა და ხალისიანი. ურთიერთობაში? — მეტად უბრალო და უშუალო...

**„ასეთი თბილი განწყობით ჯერაც არსად შემხვედრიან. ორი დღეა, რაც თბილისში ვარ და ამიერიდან ეს ქალაქი ჩემთვის ტკბილ მოგონებად დარჩება. არ იფიქროთ, თითქოს აქ ჩამოსვლას აღარ ვაპირებდე, რამდენიმე თვეში დაგიბრუნდებით, როგორც კი მოვახერხებ“.**

ხანგრძლივი ვირტუოზული სოლო გამოსვლებით ხმაურობდა მისი ბენდი, რომელიც ატონალური ვარიაციებით დარბაზში შექმნილ რომანტიკულ ჰარმონიას დროდადრო არღვევდა. პოპჯაზში შეჭრილ გია ყანჩელისეულ კლასიკურ კომპოზიციას (**„ყვითელი ფოთლები“**) ახალგაზრდა მესაყვირე ქართული ინტონაციითა და ჰარმონიულობით აჟღერებდა. არადა, ის ხომ ორეგონელი მუსიკოსია? — მაგრამ ყანჩელისეულ მუსიკალურ პარტიტურას ის საოცარი რუდუნებით მიუახლოვდა.

**„პირველად გია ყანჩელის კინოსა და თეატრის მუსიკას კომპაქტ-დისკის საშუალებით ვეზიარე, რომელიც ძალიან მომეწონა. ეს მუსიკა შეუდარებლად ამაღლებულია, რომანტიკულია და შესანიშნავად არის არანჟირებული საყვირებთან. ჩემი ინსტრუმენტი ძალიან რთული საკრავია, რომელზეც დაკვრა ძალიან წააგავს ჭადრაკის თამაშს — თუ ერთ სვლას, ანუ ერთ ნოტსაც კი გამოტოვებ, ასე ვთქვათ, „ჩააგდებ“, მაშინვე მიხვდება მსმენელი და ეს იქნება მისი შეურაცხყოფა“.**

სცენაზე ქრის ბოტის საყვირის ტონი და ნატო მეტონიძის ლამაზი ხმის ტემბრი ძალიან ერწყმოდა ერთმანეთს. სტინგის კომპოზიციას კი იმპროვიზაციული თავისუფლება ნამდვილად დააკლეს.

კონცერტის შემდეგ გამოყოლილი შენიღბული სიმშვიდით მესაუბრებოდა ქართველი მომღერალი: **„ძალიან ვნერვიულობდი. სცენაზე ამ შემოქმედთან ერთად დგომა ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, დიდი პატივი და ბედნიერებაა. ქრის ბოტი დიდი პროფესიონალია და ერთგვარად კიდეც მეხმარებოდა შესრულებისას. მართალი გითხრათ, სცენის დატოვება არ მინდოდა, იმდენად დიდი სიამოვნება მივიღე ამ მუსიკალური ურთიერთობით“.**

ჯაზფესტივალში მონაწილე ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე მომხიბვლელმა ქრის ბოტმა ავანსცენიდან კულისებში გადაინაცვლა: ლეგენდარულ ვოკალისტ-იმპროვიზატორს — ბობი მაქფერინს თავისებური ოვაციებით მოუსმინა... თბილისი კი ისე დატოვა, რომ ოცნება ვერ აიხდინა — ქართველ ჩემპიონ ქალბატონებთან ჭადრაკის პარტია არ შედგა.

## ლეგენდის შვიდი საიდუმლო...

10 გრემის მფლობელის მუსიკალური ფერადოვნება შეუდარებლად ეკლექტურია და უნივერსალური. მის ოთხოქტავიან ხავერდოვან ხმათა მდინარებაში სრულყოფილების შედევრადაა აღიარებული კლასიკური ვარიაციული თემები, ხალხური იმპროვიზაციული მოტივები, ბლუზითა და გოსპელით ინტერპრირებული ჯაზკომპოზიციები...

მას არ სჭირდება სიმფონიური ან თუნდაც, კამერული ორკესტრების ბგერათთანხლება. ხმათა პოლიფონიურ მოძრაობაში, ატონალურ აკორდიკაში თუ ვირტუოზულ პასაჟებში ის თავად გვევლინება ადამიან-ინსტრუმენტად, რომელსაც შესწევს უნარი, იყოს ბრწყინვალე ვოკალისტ-შემსრულებელი და დირიჟორი.

**„სიმფონიური მუსიკის განზომილებაში უკვე კარგა ხანია გადავედი, როგორც დირიჟორი. ეს კი ჩემი 40 წლის იუბილეს დავუკავშირე, რაც ბევრმა შემოქმედმა შეამჩნია და აქედან დაიწყო სხვადასხვა ორკესტრებში გაუთავებელი მიწვევები. წინასწარ არასდროს ვწყვეტ, თუ რას შევასრულებ კონცერტზე. ამ თვალსაზრისით, ძალიან თავისუფალი ვარ. ყველაფერი სრულ იმპროვიზაციასა და დარბაზის ემოციაზეა აგებული“.**

სცენაზე ლეგენდარული ვოკალისტისა და „ქართული ხმების“ პოლიფონიური ჟღერადობა ერთგვარი შეჯიბრი გამოდგა ქართული გენისა და ინტერნაციონალური კულტურებისა. შეუდარებელმა შემსრულებელმა სცადა სვანური „ნანასა“ და გურული „კრიმანჭულის“ ლინეალურ ხმათა მოძრაობას შეერთებოდა, მაგრამ ვერტიკალური აკორდიკის უპირატესობა ქართული ხმებისკენ გადაიხარა.

მეოცე საუკუნის კომპოზიციასთან (“Don’t Worry, Be Happy”) დაკავშირებით ლეგენდიდან მოსული კაცის გულგრილობა გამოაშკარავდა:

“Don’t Worry, Be Happy” **17 წელია არ შემისრულებია და, ვფიქრობ, ახლაც არა მაქვს არანაირი სურვილი მისი სიმღერისა. არადა, ამ კომპოზიციასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო ისტორია მახსენდება, რომლის შექმნის იდეა მაშინ დამებადა, როცა ფრაზა სარეკლამო პოსტერზე ამოვიკითხე“.**

ალბათ, ქართველი მსმენელით იმდენად მოიხიბლა ფენომენალური შემოქმედი, რომ გადაწყვეტილება მცდარად მიიჩნია და საუკუნის სიმღერა მაინც შეასრულა თავისებური ინტერპრეტაციებით.

**და მაინც, ის ბედნიერია?**

**„ბედნიერი ვარ, როცა ვიღვიძებ, როცა ჩემი გულის ცემა მესმის, როცა ვსუნთქავ, როცა უფალი ჩემი მაცხოვარია, როცა ბიბლია გამაჩნია, როცა უფალი ჩემთანაა და... როცა ხალხთან ერთად ვმღერი“.**

ხალხთან ერთად სიმღერა მაიკლ ფრენკსის შემოქმედების განუყოფელი ნაწილიცაა... მისი სიმღერები საოცრად რომანტიკული, მგრძნობიარე და ინტიმურია... მთელი ცხოვრების შემოქმედებითი მუზები მის მეუღლესთან არის დაკავშირებული... ეს კომპოზიციები ისეთივე მშვიდი, აუღელვებელი, თბილი და იდუმალია, როგორც ამ მუსიკოსის პიროვნული სრულყოფილება.

მაიკლ ფრენკსი 70-90-იანი წლების პოპჯაზის მეგავარსკვლავია, რომლის ალბომებიც საბჭოთა საქართველოში ხელიდან ხელში გადადიოდა და მასთან შეხვედრაზე ფიქრი ილუზიებს უკავშირდებოდა. მისეული ლიტერატურით გატაცება საკუთარ ნატიფ პოეზიასა და ინტიმურ კომპოზიციებს განსაზღვრავდა, რომელსაც თავდაპირველად, კარლოს შოდის ბრაზილიური ზეგავლენა ემჩნეოდა.

**„მე არა მაქვს პროფესიული მუსიკალური განათლება, თვითნასწავლი გახლავართ, გატაცებული ვარ 30-50-იანი წლების შემოქმედთა მუსიკით... ვეთაყვანები სტივ უანდერს. აქამდე არ ვიცნობდი ქართულ ხალხურ შემოქმედებას, ახლახან მოვისმინე და სურვილი მაქვს, უფრო მეტი გავიგო ამ ფენომენის შესახებ“.**

საქართველოში მაიკლ ფრენკსის ჩამოსვლა, მართლაც, სენსაციად ჩაითვალა...

ძალიან სასიამოვნოა ცოცხალი ლეგენდების მოსმენა...

**მზეხა მახარაძე.**


ბობი მაქფერინი.


ჯონ მაკლაფლინი.


მაიკლ ფრენქსი.

⊙ მოზაიკა

## მძღოლების საფრთხობელა

ინგლისის ქალაქ ბიდონის ერთ-ერთმა მცხოვრებმა, რომლის სახლის მახლობლად გადის დიდი ავტოტრასა, გადაწყვიტა გამოეცხადებინა ბრძოლა თავზეხელაღებული მძღოლებისთვის. ავტომოჯირითეების დასაფრთხობად მან შექმნა ავტოინსპექტორი მანეკენი, რომელსაც გამთენიისთანავე დგამს საავტომობილო ტრასაზე თავისი სახლის მახლობლად. ადვილი დასაშვებია, რომ ამ გონებამახვილური გამოგონების წყალობით, ბრიტანეთის ბერკშირის საგრაფოს ამ საავტომობილო ტრასაზე მოხერხდეს არაერთი სატრანსპორტო შემთხვევისა და ავარიის თავიდან აცილება.



## ვეფხვი — ღორის ძმა და მეგობარი

ბანგკოკიდან დაახლოებით 100 კილომეტრზე მდებარე „სი რაჩის“ ზოოპარკში საკმაოდ უჩვეულო რამ შეიძლება ვნახოთ. იქ არა მარტო ამრავლებენ ვეფხვებს, არამედ ცდილობენ ამ ცხოველებს ასწავლონ სხვა ოთხფეხებთან მეგობრობაც. მაგალითად, ვეფხვის ბოკვრები იზრდებიან და ცხოვრობენ გოჭებთან ან ძაღლის ლეკვებთან ერთად და მათ მიმართ ფრიად „ნაზი გრძნობებითაც“ არიან გამსჭვალული. როცა ბენგალური ძუ ვეფხვი საიმაი სულ პატარა იყო, მას რძით კვებავდა დედა ღორი, გარდა ამისა, საიმაის უყვარდა მაიმუნებთან თამაში და პოზირება ფოტოკამერის წინ. ნებისმიერ დამთვალიერებელს შეეძლო ხელში აყვანილი ვეფხვის ბოკვერით გადაეღო სამახსოვრო ფოტო. ახლა საიმაი უკვე 2,5 წლის არის, თითქმის ზრდასრული ვეფხვია, მაგრამ იგი ახლაც გალიაში ცხოვრობს გოჭებთან ერთად და, როგორც ჩანს, მათთან დიდი მეგობრობაც აკავშირებს.



# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, 0160, გაგარინის ქ. 29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიში № 115700598, კოდი 220101107, აცხადებს ღია ტენდერს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 192-193 კმ. მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების ვადა (ეტაპები) განისაზღვრება პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სამუშაოთა შესრულების გრაფიკის მიხედვით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 20.07.04-ის 18 სთ-მდე, ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**4.4. გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდნენ შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

– მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით), რეგისტრაციის ადგილი; მოღვაწეობის ძირითადი ადგილი; წესდება. სატენდერო წინადადების ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ).

– სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმები:

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | | | | | |

